# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 26 ნოემბერი, 2011 წელი.

№223 (6854)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## გა(და)ფრენა ქუთაისში და უკან

2




## სად დადის და რას აკეთებს თარგამაძე?

2



## „ღირსების ულტიმატუმი“

4

## საბჭოთა კავშირის საყრდენი, დაშლილი იმპერიის იმედი...

6

## მაკროკვერცხონომიკა, ანუ დიდი კვერცხების ეკონომიკა

3



რატომ ჯდება ცალკეული პროექტები ასე ძვირი და სად ილექება „გაიმასქნებული“ მილიონები?

## ბიძინა ივანიშვილის პრესსამდივნის განცხადება

## „ქართული ოცნების“ პრეზენტაცია 11 დეკემბერს ფილარმონიაში გაიმართება




საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ პრეზენტაცია, ა.წ. 11 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში გაიმართება. წერილობითი თანხმობა ფილარმონიის ადმინისტრაციისგან უკვე მივიღეთ. პრეზენტაცია 25 ნოემბრისთვის იყო დაგეგმილი, მისი გადადების მიზეზი კი ხელოვნურად შექმნილი წინააღმდეგობები გახდა. გვინდა, საზოგადოებას კიდევ ერთხელ შევახსენოთ, რომ 3 ნოემბრიდან მოყოლებული დღემდე, ბიძინა ივანიშვილის წარმომადგენლები მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ სპორტის სასახლის ადმინისტრაციასთან, თუმცა პასუხი დღემდე არ მიგვიღია. სპორტის სასახლის გამოყოფას ჩვენ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გამო ვითხოვდით, რათა ყველა მსურველს ჰქონოდა „ქართული ოცნების“ პრეზენტაციაზე დასწრების საშუალება.

სპორტის სასახლის ადმინისტრაციის თანხმობის შემთხვევაში, უფლებას ვიტოვებთ საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე „ქართული ოცნების“ პრეზენტაციამ სპორტის სასახლეში გადაინაცვლოს. მზად ვართ, ამ შემთხვევაში, ფილარმონიის ადმინისტრაციას პირგასამტეხლოც გადავუხადოთ. ჩვენი ინფორმაციით, იმ დროისთვის სპორტის სასახლეში არანაირი ღონისძიება დაგეგმილი არ არის და შესაბამისად არ არსებობს რეალური მიზეზი, რის გამოც შესაძლოა სპორტის სასახლის ადმინისტრაციამ დარბაზის გამოყოფაზე უარი გვითხრას. იმ შემთხვევაში თუ, მიუხედავად ყველაფრისა, სპორტის სასახლე მაინც უარს იტყვის, თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში, სამწუხაროდ, ყველა მსურველს დასწრების საშუალება არ მიეცემა, რისთვისაც საქართველოს მოსახლეობას წინასწარ ვუხდით ბოდიშს.

კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ „ქართული ოცნების“ პრეზენტაციის თარიღის შეცვლა არ მომხდარა ჩვენი ინიციატივით და მოლაპარაკებების გაჭიანურება მიზანმიმართულად ხორციელდება, რაც პირველი შემთხვევა არ არის.

## რატომ შიშობს ხელისუფლება საგანძურის ექსპოზიციის გამოვლენას?

9



პატრიარქი

# „ვიზიტი მეტად სასარგებლო იყო ჩვენი ქვეყნისა და ეკლესიისთვის“

**ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ სამების საკათედრო ტაძარში განაცხადა. უწმინდესის თქმით, ვიზიტისას განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა დევნილებთან დაკავშირებით. „გვქონდა საუბარი ლტოლვილების შესახებ და იმედი გვაქვს, ლტოლვილები თავის სახლებში დაბრუნდებიან“, — აღნიშნა პატრიარქმა.**

რუსეთიდან 24 ნოემბერს, დაახლოებით 21 საათზე დაბრუნდა.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მას სასულიერო პირები და მრევლი დახვდა. ილია მეორე აეროპორტიდან პირდაპირ სამების ტაძარში წავიდა, სადაც მრევლს შეხვდა და დალოცა.

ილია მეორე მოსკოვში 18 ნოემბერს თანმხლებ პირებთან ერთად გაემგზავრა. უწმინდესი 20 ნოემბერს რუსეთის პატრიარქის, უწმინდესი კირილის 65 წლის იუბი-



„ჩვენ, ასევე, გვქონდა საუბარი მეფეების — ვახტანგ მეექვსისა და თეიმურაზ მეორის გადმოსვენების შესახებ. ისინი ასტრახანში არიან დაკრძალულნი და მათ აქვთ დატოვებული ანდერძი, რომ იყვნენ დასაფლავებულნი საქართველოში. ჩვენ ვთხოვეთ რუსეთის პრეზიდენტს, პატრიარქ კირილს, რომ ნება დაგვრთონ და გადმოვასვენოთ ჩვენი მეფეები. ახლა გადავეცით საბუთები და ამ საკითხს სწავლობენ“, — განაცხადა პატრიარქმა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ლესადმი მიძღვნილ ღონისძიებებში მონაწილეობდა. მოსკოვში ვიზიტის დროს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი რუსეთის პატრიარქს შეხვდა და მაცხოვრის ტაძარში საღმრთო ლიტურგიაში მონაწილეობდა.

საზეიმო ღონისძიებების ფარგლებში, მოსკოვში მყოფ მართლმადიდებელი ეკლესიების წარმომადგენლებს რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი შეხვდა.

გიორგობის დღესასწაულზე კი, ილია მეორემ წირვა მოსკოვში, წმ. გიორგის სახელობის ტაძარში აღავლინა.

მკრეხელობა?!

# გემუდარებით, ნურაფერს იტყვით, თქვენო უწმინდესობავ!

**ვჩქარობ, ამთავითვე განვმარტო ამ მასალის რუბრიკისა და სათაურის „გაჩენის“ მიზეზი. ვჩქარობ, რადგან სხვაგვარად, მართლაც, განა იქნება რამე იმაზე მეტი მკრეხელობა, თავს უფლება მისცე, მიმართო ხალხის მიერ სავსებით სამართლიანად ერის მამად მიჩნეულ უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს, რომლის ყოველ სიტყვასა და ბრძნულ მიმართვას მთელი ერი, მრევლი მუდამ სასოებით ელის, ნურაფერს იტყვიო!**

**თითქოს მართლაც ასეა, მაგრამ მხოლოდ მწარე გამოცდილებამ მაიძულა ამის ქმნა და იმადაც დავუსვი რუბრიკას კითხვა-ძახილის ნიშანი, რომ არ არის ეს მკრეხელობა!**

რა მწარე გამოცდილებას ვგულისხმობ?

გეხსომებათ, 2008 წლის შემოდგომაზე, როდესაც მისი უწმინდესობა და უნეტარესობა მოსკოვს ბრძანდებოდა ვიზიტად, იქიდან მობრუნებულმა ჩამოსვლისთანავე ბრძანა, — **რუსეთის პრეზიდენტს ველაპარაკე და რუსები საჩხერის რაიონის სოფელ პერევიდან ჯარს გაიყვანენო.**

თქვა და გაკეთდა კიდეც — რუსთა საჯარო ნაწილი გავიდა პერევიდან!

ისიც გემახსოვრებათ, რომ მაშინვე ტელევიზიით გამოვიდა მიხეილ სააკაშვილი — **კათოლიკოს-პატრიარქმა სწორედ ისა თქვა და გააკეთა მოსკოვში, რაც და როგორც ვთხოვეთ და დავარიგეთო(?!).**

**ამის თქმა იყო და, სულ ორიოდ საათში რუსები ისევ შემოჯლიგინდნენ დატოვებულ პერევში!**

და სწორედ იმან, რომ ახლაც იგივე არ განმეორდეს, თქვენო უწმინდესობავ და ღვთის წყალობით და თქვენი ბრძნული გონით და ქცევით „ალმა ხნული“ ზოგიერთებმა ადრინდელივით ისევ „დალმა არ ფარცხონ“, გამაბედვინა თქვენთვის ასეთი მკრეხელური მიმართვა — **ვაითუ მავანთა გამოისობით ეს იმედიც გაქრეს და ლტოლვილთათვის მათი სახლების კარი ისევ საგულდაგულოდ ჩაირაზოს!**

**ამადაც გემუდარებით, თქვენო უწმინდესობავ, ნურაფერს იტყვით, სანამ პროცესები საბოლოოდ შეუქცევადი, ანუ ჩვენთვის სასურველმისაღები არ გახდება!**

**თორემ ვაითუ ისევ გამოვარდნენ „მავანნი“ ტელევიზიით და...**

**რუსლან რუსია**

სიახლე

# გა(და)ფრენა ქუთაისში და უკან

**იმ დროს როდესაც სააკაშვილი ქუთაისის მახლობლად კოპიტნარის აეროპორტის ძველ კედელს ანგრევდა და ახალი აეროპორტის აშენების დაწყებას აღნიშნავდა, საქართველოს მფრინავთა ასოციაცია გაეროს ოფისთან საპროტესტო აქციას მართავდა. ერთი სიტყვით, ქართული ავიაციის ამბებმა ციდან მიწაზე გადმოინაცვლა.**

საქართველოს პრეზიდენტმა კოპიტნარის აეროპორტის სარეკონსტრუქციო სამუშაოები გახსნა. აეროპორტის მშენებლობას რამდენიმე კომპანია უზრუნველყოფს. პროექტი კი ჰოლანდიურ კომპანიას ეკუთვნის. ასაფრენი ბილიკი 2 კილომეტრისა და 600 მეტრი სიგრძის იქნება. სააკაშვილმა, სიმბოლურად, აეროპორტის ძველი შენობის კედელიც დაანგრია.

პრეზიდენტის განცხადებით, აეროპორტის მშენებლობა მომავალი წლის ზაფხულში დასრულდება და ქუთაისს თანამედროვე საერთაშორისო აეროპორტი ექნება, საიდანაც საერთაშორისო რეისები შესრულდება. საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, თბილისის საერთაშორისო აეროპორტს ოპერირებს თურქული კომპანია „ტავი“ და ფასები საკმაოდ მოუქნელია.

ამიტომაც მისი აზრით, ქუთაისის აეროპორტის გახსნა ბილეთების ფასებს გააიაფებს. „მთავარი მიზანია, იყოს დაბალი ტარიფები, რათა დაბალბიუჯეტიანი კომპანიები შემოვიყვანოთ. თბილისის საერთაშორისო აეროპორტს ოპერირებს თურქული კომპანია „ტავი“ და ფასები საკმაოდ მოუქნელია. იმის გამო, რომ თბილისის აეროპორტში მომსახურება მაღალია, ბილეთის ფასიც უფრო მაღალია, ვიდრე უნდა იყოს. ამის გამო, დაბალბიუჯეტიან კომპანიებს შემოსვლა უჭირთ. როცა ეს აეროპორტი გაიხსნება, თბილისის აეროპორტს მოუწევს ტარიფების დაწევა, რომ ხალხმა იფრინოს იაფად“, — განაცხადა სააკაშვილმა.

„დღეს ვიწყებთ კოპიტნარის აეროპორტის მშენებლობას, რომელიც მომავალ წელს დასრულდება. ქუთაისს ნამდვილი საერთაშორისო აეროპორტი უნდა ჰქონდეს. ქუთაისს უნდა ჰქონდეს ისეთი აეროპორტი, საიდანაც ყოველთვის იფრენენ თვითმფრინავები მიუნხენში. ამ აეროპორტიდან შესრულდება რეისები ქუთაისი-მიუნხენი, ქუთაისი-ლონდონი, ქუთაისი-სტამბოლი, ქუთაისი-შანხაი, უახლოეს წლებში — ქუთაისი-ნიუ-იორკი. ჩვენი მთავარი მიზანია, შემოვიყვანოთ დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანიები“, — მთლად ოცნებებში წავიდა პრეზიდენტი.




ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობაზე, რამდენიმე კომპანია იმუშავებს, თუმცა ცნობილია, რომ რეაბილიტაციის პროექტი ჰოლანდიურმა კომპანია „ა სტუდიომ“ განახორციელა. კოპიტნარის აეროპორტის რეაბილიტაცია 2012 წლის სექტემბრისთვის დასრულდება.

საქართველოს მთავრობა კოპიტნარის აეროპორტის გასხვისებას გეგმავდა, თუმცა საბოლოოდ მისი გასხვისება გადაიფიქრა. „ქუთაისის აეროპორტი“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოა, რომელიც ქუთაისიდან 20 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. იგი მოიცავს 35,5 ჰექტარ მიწის ნაკვეთს და 2 300 კვ.მ. შენობის ფართს. აეროპორტის ამჟამინდელი გადაზიდვის ტევადობა საათში 200 მგზავრს შეადგენს. აეროპორტი, ყოველგვარი სეზონური შეფერხების გარეშე, 24 საათის განმავლობაში ფუნქციონირებს.

**ეკა ბაქრაძე**

ან ავლილი, ან ჩავლილი ხომ არ გინახავთ?..

# სად დადის და რას აკეთებს თარგამაძე?

**საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ბოლო ორი წელია, პარლამენტში ორჯერ არ ყოფილა. იგი არც ბიუროს სხდომებს ესწრება და არც პლენარულ სხდომებს. არადა, პარლამენტის რეგლამენტი დეპუტატს პარლამენტში სიარულს ავალდებულებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მას, მინიმუმ, არასაპატიო გაცდენები მაინც უნდა ჰქონდეს დაფიქსირებული. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, მას ერთი საპატიო გაცდენაც კი არა აქვს.**

ადამიანი დეპუტატი რომ ხდება, ფიცს დებს. ამ ფიცში ნათქვამია, რომ იგი პირნათლად შეასრულებს თავის მოვალეობას და ა.შ. დეპუტატის მოვალეობა კი, მინიმუმ ის არის, სხდომებზე იაროს.

ცნობისთვის, სესია თვეში ორი კვირის განმავლობაში იმართება, ისიც კვირაში ერთი ან ორი დღე. საერთო ჯამში კი გამოდის, რომ დეპუტატები თვეში მაქსიმუმ ოთხ-ხუთჯერ უნდა მივიდნენ. კომიტეტის თავმჯდომარეებს კი პარლამენტში უფრო ხშირად უწევთ მისვლა, რადგან არასასესიო კვირას კომიტეტის სხდომა იმართება. კომიტეტის სხდომას კი, როგორც წესი, კომიტეტის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს.

გამოდის, რომ კომიტეტის თავმჯდომარე თვეში 6-7-ჯერ მაინც უნდა მივიდეს და ამ მისვლაში საკმაოდ დიდ ხელფასს იღებს. შეგახსენებთ, რომ რიგითი დეპუტატის ხელფასი 2200 ლარია. კომიტეტის თავმჯდომარის ხელფასი კი 3000 ლარამდეა.



დეპუტატებს პარლამენტში სიარული ეზარებათ. მაგრამ არ არსებობს სათანადო მექანიზმი, თუ როგორ შეიძლება დეპუტატი აიძულონ, რომ პარლამენტში მივიდეს.

ერთადერთი სანქცია არის ის, რომ დეპუტატს ხელფასი დაექვითოს. მაგრამ, თუკი პარლამენტში მოხვედრილი დეპუტატების ფინანსურ შესაძლებლობებს გავითვალისწინებთ, მათ ამ თანხის ჩამოჭრა დიდად არ ადარდებთ.

მით უმეტეს, რომ ოფიციალური მონაცემებით, ასეთი დაჯარიმება არც ისეთი ხშირია.

მიუხედავად იმისა, რომ ახლა 2011 წლის შემოდგომაა, პარლამენტის ვებგვერდზე გამცდენი დეპუტატების შესახებ ბოლო ინფორმაცია 2009 წლის შემოდგომით არის გამოქვეყნებული.

ამ მონაცემებით კი სესია არასაპატიოდ სულ 7 დეპუტატს გაუცდენია. გივი თარგამაძეს სულ — სამჯერ. არადა, გივი თარგამაძე ამ მოწვევის პარლამენტში სულ სამჯერ თუ ყოფილა.

თარგამაძე მიმდინარე წელს პარლამენტში საერთოდ არ გამოჩენილა, ყოველ შემთხვევაში, საპარლამენტო და საკომიტეტო სხდომებზე. საპარლამენტო კულუარებში ამბობენ, რომ თარგამაძე პარლამენტში ღამ-ღამობით მოდის და თან თავის მეგობრებს იბარებს. თარგამაძის ყველაზე ხშირი ღამეული სტუმარი კი ცესკოს ყოფილი თავმჯდომარე ლევან თარხნიშვილი ყოფილა. ღამე რას აკეთებენ და რაზე თათბირობენ, არავინ იცის.

თარგამაძე ბოლო ერთი წლის განმავლობაში არც ერთ სხდომას არ დასწრებია. უფრო მეტიც, მარტო თარგამაძე კი არა, სხდომებზე არც ერთი მისი მოადგილე აღარ დადის და ამის გამო, პარლამენტში ხუმრობენ კიდეც, თავდაცვის კომიტეტი გაუქმდა და არ გვეუბნებიანო.

მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ყველაფერს აქვს თავისი ფორმალური მხარე და თარგამაძეს ფორმალურად მაინც უნდა აჯარიმებდნენ. თუმცა, როგორც presage.tv-ს პარლამენტის მანდატურის სამსახურის უფროსმა განუცხადა, თარგამაძეს არც ერთი არასაპატიო გაცდენა არ აქვს.

**საინტერესოა, ამაზე პარლამენტის ხელმძღვანელობა რატომ ხუჭავს თვალს და ერთხელ რატომ არ მოიკითხეს, სად არის და რას აკეთებს „ხალხის რჩეული“ გივი თარგამაძე?**

**თეონა ხარაბაძე**

# მაკროკვერცხონომიკა, ანუ დიდი კვერცხების ეკონომიკა



## რატომ ჯდება ცალკეული პროექტები ასე ძვირი და სად ილექება „გაიმასქნებული" მილიონები?

**საქართველოში დიდი ამბავია ატეხილი იმ საუკუნის პროექტებზე, სააკაშვილის მთავრობა ლამის ყოველდღიურად რომ ხსნის: ბათუმში იდება კვერცხები კვერცხებზე – „შლოპანცები", ხოლო არავის რომ არ ეგონოს, რომ ეს საქართველოს მთავრობის კვერცხებზე დაჭერილი რუსული შლოპანცებია, მათზე ამაყად არის აღბეჭდილი საქართველოს დროშა... მერე დავით აღმაშენებლის ძეგლის ადგილზე დგამენ უშველებელ ველოსიპედს, რომელსაც ორი სკამი ერთმანეთისაკენ აქვს მიტრიალებული, რაც იმის ნიშანია, რომ ველოსიპედზე ამხედრებულები არა მის მართვას, არამედ, ალბათ, ზასაობას შეეცდებიან... მალე ბათუმშიც იქნება ველოსიპედის ძეგლი (გოგონა ველოსიპედზე), რომელიც სხვა პროექტებისგან განსხვავებით ესთეტიურად ლამაზად გამოიყურება... ბათუმშივე შენდება გრანდიოზულ-ფალოსური „ანბანის კოშკი", რომლიდანაც სააკაშვილი ფიქრობს, რომ კარგ ამინდში ტრაპიზონსაც დაინახავს და ოჩამჩირესაც...**

რიყის პარკში მოვიდა და სკამზე ჩამოჯდა ედუარდ შევარდნაძის ძველი მეგობარი რონალდ რეიგანი, რომლის ძალისხმევით საქართველო 90-იან წლებში განთავისუფლდა (ისე, აქ უმტყუნათ ნაცსიმბოლიზმის მეტრებს კრეატიულობამ, თორემ რეიგანს ცალ ხელში ვარდი უნდა ეჭიროს, ხოლო მეორეში – ნახევრად დაცლილი ჭიქა უშაქრო ჩაით, სკამზე კი თავისუფლების პატივისცემის სიტყვების მაგიერ, აჯობებდა წარწერა Misha is Cool!)...

გაიხსნა რიკოთის გვირაბი, რომელიც, ალბათ, მსოფლიოში ყველაზე გაჩახჩახებული გვირაბია, სადაც მძღოლებს შავი სათვალეებით მოუწევთ მოძრაობა... 23 ნოემბერს ავრალურად გაიხსნა პლეხანოვ/აღმაშენებლის განახლებული გამზირი... ქუთაისში, ასევე დავით აღმაშენებლის ნაძეგლარზე, გაკეთდება ქართული ეთნოგრაფიული განძეულის ფიგურებით დამშვენებული გრანდიოზული შადრევანი... გაჟღერდა სააკაშვილის სანუკვარი ოცნებებიც – საქართველოში მრავალი გვირაბის და, სულ მცირე ერთი, 200-სართულიანი შენობის აშენების შესახებ და იმაზეც, რომ სასწრაფოდ ახალი ოქროს თევზია მოსაძებნი ამ იდეების ხორცშესასხმელად!.. ძველი ოქროს თევზი ხომ პოლიტიკაში წავიდა...

ამ სიახლეებმა ბევრს დააწყებინა იმაზე ფიქრი, რომ ჩვენი ხელისუფალი ქვეყნის მართვაში არქიტექტურის და სკულპტურის გამოყენებას ცდილობს. ზოგმა, აჯანყებული გურულის ძეგლის საიდუმლოდ გასვენების ამბის შემდეგ გამოიტანა დასკვნა იმაზე, რომ საქართველოში ტრადიციული ხელოვნება კვდება და „არტი" იბადება (ამის ნიშნები ადრეც ჩანდა ლექსენის, ბიჭოლას და დეფის გამოფენების მცდელობებით), ხოლო ყველაზე პროზაულებმა ის დაასკვნეს, რომ მიხეილ სააკაშვილის ეს მორიგი გარდარეული ვნება იმის გზავნილია, რომ თუ ბიძინა ივანიშვილი საქართველოს გუგენჰეიმის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის მსგავს მუზეუმს უმზადებს, მიშამ მთელი საქართველოს ცისქვეშეთის გუგენჰეიმიზაცია გადაწყვიტა – მთელი საქართველო უნდა გახდეს მიშას არტ-პერფორმანსის არენა – „ნულოვანი ტოლერანტობიდან – ნულოვან გემოვნებამდე!", რომელზეც ვერავინ იკამათებს (ნულოვანი ტოლერანტობის გათვალისწინებით, ცხადია!)

მაგრამ, ძვირფასო მუზეუმის ჯერ კიდევ მაცხოვრებლებო (არ გაგიკვირდეთ! არაა გამორიცხული მუზეუმში ცხოვრება შეიზღუდოს, როგორც, მაგალითად შუშის ხიდის მოაჯირზე ჩამოყრდნობა ან რიყის პარკის სკამებზე შეყვარებულისთვის ხელის გადახვევა არის შეზღუდული!), – სინამდვილეში, ამ კულტუროლოგიური მონუმენტალიზმის მიზეზი, ყოველ შემთხვევაში – ძირითადი მიზეზი – გაცილებით მარტივია! და როგორც სხვა შემთხვევებში, მარქსიზმის კლასიკოსების მიერ არის განსაზღვრული:

– ფული, ბაბა, ფული!.. ბევრი ფული, ბაბა!"

თუ მიაქციეთ ყურადღება, ინფარქტგადატანილ მეგზევე მინისტრს რა დაუჯდა ევროპაში საუკეთესო რიკოთის გვირაბი (სხვათა შორის, „იმედის" რეპორტაჟში „რიკოთის გვირაბი გაიხსნაო!", ისე გვახარეს, ვითომ ეს გვირაბი მიშას და ნიკოლეიშვილს გაეჭრათ წელს!)?

46 მილიონი ლარი!

როგორ გგონიათ, სინამდვილეში ამდენი დაჯდებოდა 1750 მეტრი სიგრძის და 9.5მ სიგანის გვირაბი? ანუ დაახლოებით 2800 ლარის ხარჯი – გზის 1 კვ.მეზე? რა თქმა უნდა ინფრასტრუქტურის განახლება არაა იაფი სიამოვნება, თუ ამას ნორმალურად აკეთებ, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ სწორედ იმიტომ იყო გვირაბი ბროდვეიზე მეტად გაჩახჩახებული, რომ მარტო თვალები კი არა, ტვინიც დაგვბრმავებოდა და არ მოგვეკითხა, რაშია დახარჯული ფული! აგერ ვარ მე და აგერ – ეგ გვირაბი და ვნახავთ გაზაფხულამდე რამდენი წყალი ჩამოვა მის გაჩახჩახებულ კედლებზე – არა მგონია ერთი წელი იფუნქციონიროს დახურვის გარეშე...

როგორც ბათუმის ნაციონალური მთავრობა ამბობს, შლოპანცების და კვერცხების ქანდაკება სულ რაღაც 160,000 ლარი დაუჯდათ, თუმცა სავარაუდოდ, ეს მხოლოდ თავად მოქანდაკე ფანტოცისთვის გადარიცხული თანხაა, მისი ტრანსპორტირების და მონტაჟის გათვლით კი კომპოზიციის სრულ ხარჯებად 800,000 ლარი გაიწერა.

78,000 ლარი დაჯდა ოფიციალური ცნობებით რესპუბლიკის მოედანზე დავით აღმაშენებლის ჩამნაცვლებელი გიგანტური ველოსიპედი, რომელიც თავიდან – მოქანდაკის „საჩუქრად" გამოცხადდა. თუმცა გაჟღერდა ისიც, რომ ამ ძეგლის მხოლოდ მონტაჟი დაჯდა 36,000 ლარი, ხოლო მის სრულ ღირებულებად ფანტასმაგორიული ციფრი – 7 მილიონი ლარი სახელდება. იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფო და თბილისის ბიუჯეტები, ისევე როგორც საპრეზიდენტო და სამთავრობო ფონდები სრულიად გაუმჭვირვალეა, ძნელია, რაიმე კომენტარი გააკეთო...

მაგრამ ეს თანხები სრულად ფერმკრთალდება 64 მილიონ ლართან, რაც ბათუმის „ანბანის კოშკი" დაჯდება... არავინ ამბობს, რა დაჯდა პლეხანოვის ახალი სიცოცხლე... გაგიკვირდებათ, რომ 1 მილიარდი დაეხარჯათ? მე არ გამიკვირდება, კაცმა ბავშვობის ნატვრა აიხდინა და მილიარდის დედაც!.. მით უმეტეს, იმ მილიარდის, რომელიც მანამდე სახელმწიფოსი იყო და ახლა სანახევროდ შენი ხდება (ამაზე – ქვემოთ!)

ხოლო 200-სართულიანი შენობის ფასი რომ რამდენიმე მილიარდი დოლარი იქნება, ეს გასაგებია...

ჩემი მოკრძალებული აზრით დასახელებული პროექტები 3 ფუნქციას ასრულებენ:

**1) მთავრობა ხალხს აჩვენებს, რომ მხოლოდ მას შეუძლია ამ ქვეყნის იერსახის შეცვლა** (კარგისკენ თუ ცუდისკენ, ეს არაა მნიშვნელოვანი!). ამის მოთხოვნილება მიშას განსაკუთრებით გაუმწვავდა მის შემდეგ, რაც საქართველოს მოსახლეობის ყურადღება მთლიანად მთაწმინდაზე წამოჭიმულ ივანიშვილის სასახლეს აქვს მიპყრობილი და სააკაშვილის მხრიდან ამ ფაქტის გადასაფარავი ჭინთვები ხანუმას სახეზე ფერუმარილის ინტენსივობის მსგავსად იზრდება!

**2) მთავრობა ცდილობს, უცხოეთს დაანახვოს, რომ იგი თანამედროვე ლიბერალური ღირებულებების და პოსტმოდერნისტული ტენდენციების მატარებელია,** თუმცა ვერ ატყობს, რაოდენ უმსგავსოა მისი საქციელი, როდესაც მილიონებს არა სომალიელი მეკობრეების ტყვეობაში მყოფი ადამიანების ყოფის შესამსუბუქებლად და გამოსახსნელად, არა – ათასობით ცე ჰეპატიტით დაავადებულის სამკურნალოდ, არა – მილიონზე მეტი უმწეოს დასახმარებლად, არა – ლტოლვილებისათვის და პენსიონერებისათვის ყოფის გასაუმჯობესებლად ხარჯავს, არამედ – კვერცხებზე, კოშკებსა და შლოპანცებზე!

**3) და, რაც მთავარია, მთავრობა სწორედ იმიტომ არის დაკავებული მეგაპროექტებით, რომ მათზე გაწერილი მეგახარჯების ლომის წილი დანიშნულებისამებრ კი არ იხარჯება, არამედ სამთავრობო სამშენებლო და მუნიციპალური კომპანიების** (კეზერაშვილის ცოლის, გიგა ბოკერიას მამის და ცოლისდის, შარანგიების კლანის, გიგი უგულავას საახლობლოს) **ჯიბეებში ილექება, ხოლო იქედან შემდეგ ნაცონალური მოძრაობის საარჩევნო ყულაბაში მიედინება.** რაც მეტად გრანდიოზული იქნება მშენებლობა, მით მეტ ფულს აახევს სააკაშვილი ჩვენი საშემოსავლოებით და ფულშეწერილთა საპროცესო გარიგებებით შევსებულ ხაზინას, მით უფრო მეტად გაალარიბებს თითოეულ ისედაც უპოვარ ადამიანს, მით უფრო გაიადვილებს საარჩევნოდ მათი „იეფად" მოსყიდვის შესაძლებლობას და მით უფრო მეტი ექსპერტების, პიარკომპანიების (მოძასასყიდი თუ სარეკლამო თანხა დარჩება არჩევნებისათვის, რომ თავისი ოჯახის, საყვარლების და კლანის ბედნიერი მომავალი და ქვეყნის დანგრევა უზრუნველყოს!

თქვენ კი იძახით, „არტიო"!

არტი არა, – კვატი!

**სოლომონ თერნალი.**

**Presage.tv**

◉ ცხელ გულზე ნათქვამი

# ...წერას მაინც ისწავლიო!

## იქნებ ანი ლექსის თხზვაში ივარჯიშოთ, კახა ბატონო

**ბრავო, კახა ბატონო (ლეიბორისტ ძაგანიაზე ვამბობ), შესანიშნავი რითმები გამოგივიდა – ქველმოქმედოგველმოქმედო". მე, ლექსის ტრფიალს, მსგავსი რითმა-შედარება ჯერ არ წამიკითხავს, არც მსმენია. აი, შედარება კი ნაღდად არ გამოუვიდა, ძალიან ჩაიჭრა, გველი არც ისე საშინელია, როგორც შენ და შენისთანებს ჰგონიათ. ძველად ჩვენთან, სამეგრელოში, იგი ოჯახის მფარველადაც კი მიაჩნდათ, ჯამით რძესაც უდგამდნენ, აკვანში მძინარე ბავშვსაც ანდობდნენ. მთაში ხეტიალისას მეც ბევრჯერ გადავყრივარ. თუ ფეხი არ დაადგი, ზედაც არ შემოგხედავს...**

**ისე, საუბედუროდ, გველზე ბევრად საშიში, გველაძუა, თახსირი და სამშობლოს მოღალატე დღეს ბევრზე ბევრია, თუნდაც ხელისუფლებაში, პარლამენტში და... ოპოზიციაშიც...**

**რაც შეეხება ბატონ ბიძინა ივანიშვილს, მისი სახელი პირველად ამ ორი ათეული წლის წინათ გავიგონე. რედაქციიდან დავალება მივიღე, სასწრაფოდ ჩავსულიყავი სართიჭალაში, სადაც დიდძალი საყოველთაო-სამეურნეო ტექნიკა იყო ჩამოსული. ჰოდა „მოამბისთვის" სიუჟეტი უნდა მომემზადებინა. იქ კი გარდაბნის მაშინდელი გამგებელი ხუტა მამალაძე დამხვდა, თვალს არ ვუჯერებდი, ეზალონზე იმდენი მანქანა-ტრაქტორი იდგა, კომბაინები, სხვა სამეურნეო ტექნიკა. სულ 400 ერთეული. ეს მოსკოვში მოღვაწე ბიზნესმენ ივანიშვილის საჩუქარიაო, მითხრეს. ალბათ რამდენიმე მილიონი ღირდა.**

**ეს სასწაული იყო. მერე იმ ტექნიკას რა ბედი ეწია, არ ვიცი. ამბობდნენ მეზობელ რესპუბლიკაში გაიყიდაო. მას შემდეგ ბატონი ბიძინას სახელი კანტიკუნტად მესმოდა, იგი თავის ქველმოქმედებას უანგაროდ ეწეოდა ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროში, თავის სახელს გულმოდგინედ ჩქმალავდა. სამაგიეროდ ნაციონალი ხელისუფალნი იწერდნენ ამით ქულებს. ჰოდა, იმ ნაციონალების კიდევ მესმის, მათი შიში გასაგებია, მაგრამ თქვენ, ლეიბორისტებს, რა ჭირი გეტაკათ, ან რა გაგიკეთებიათ სამშობლოსთვის, ერისთვის. ენამზეობაში იმ ვაი პარლამენტარებს ვერ აჯობებთ, ან რა პირით შედიხართ ბატონ ბიძინას აშენებულ სამებაში, მის მიერ განახლებულ სხვა ეკლესია-საყდრებში? ღმერთის არ გეშინიათ, ეს ხომ უფლის გმობაა?**

**ისე, ისიც უნდა გითხრათ, თქვენი რიგები „ზემოთ" ხომ შემცირდა და შემცირდა – ქალბატონი ნესტან კირთაძე წავიდა, აი, შატბერაშვილიც გაუჩინარდა, მთავარი მაინც სხვაა – ლეიბორისტებს რუსთავში სერიოზული მხარდამჭერები გყავდათ, ძლიერი ორგანიზაცია გქონდათ, დღეს ძეხორციელს ვერ იპოვით თქვენს მხარდამჭერს. იყავით ახლა შალვა გუგავა და შენ, ბატონო კახა, ივარჯიშე ლექსის წერაში...**

**ისე თუ გგონია, რომ შენი ავსიტყვაობა ბატონ ბიძინა ივანიშვილს რამეს ავნებს, ძალიან ცდები!**

**გივი ჯახუა**

◉ ჩვენი პრესდაიჯესტი

გუშინდელი გაზეთებიდან

### კახა კალაძეს ატერორებენ

კახა კალაძისა და ბიძინა ივანიშვილის ბანკებში ეროვნული ბანკი საბუთებს ძეძავს და არავინ იცის მათი „შემოწმების" შედეგი რა იქნება.

**„ახალი თაობა"**

### მკვლელობის სკანდალური საქმე და ნაფიცი მსაჯულების პირველი ვერდიქტი

2011 წლის 18 ნოემბერს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პირველმა შემადგენლობამ პირველი ვერდიქტი გამოიტანა და ამით საქართველოს ისტორიაში 90 წლის შემდეგ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო აღდგენილად გამოაცხადა.

**„ვერსია".**

### „ეს ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე კორუფციული ბიუჯეტია"

თინა ხიდაშელის ცნობით, თბილისის ბიუჯეტი „4 პარამეტრში კონცენტრირებულ" „აბსოლუტურად გაუმჭვირვალე მუხლების" ნაკრებს წარმოადგენს.

**„რეზონანსი".**



„ჩვენ ვფიქრობთ, რომ „ღირსების ულტიმატუმი“ არის იმ ელემენტარულ საკითხთა ჩამონათვალი, რომელთა შეუსრულებლობის გამო შელახულია საქართველოს მოქალაქეთა ღირსება და, რომელთა შეუსრულებლობის პირობებში ღირსების მქონე საქართველოს ნებისმიერი მოქალაქისთვის სირცხვილი იქნებოდა ხელისუფლებაში ყოფნა, მით უფრო პრეზიდენტის სავარძელში ჯდომა“.

ეს ამონარიდია იმ წერილიდან, რომელიც 2009 წლის 23 ნოემბერს, ვერის ბაღში, მერაბ კოსტავას ძეგლთან „ღირსების ულტიმატუმზე“ ხელმომწერთა დავალებით გავუგზავნე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს იმავე წლის 25 ნოემბერს.

ახალი პოლიტიკური ძალის „თეთრი მოძრაობა“ („თეთრები“) ინიციატივითა და მეცნიერთა აქტიური მონაწილეობით, პოლიტიკურ პარტიებთან ხანგრძლივი კონსულტაციებით შედგენილი „ღირსების ულტიმატუმი“ ასე მთავრდება: „თუ ხელისუფლება არ შეასრულებს სასიცოცხლო მნიშვნელობის ამ მოთხოვნებს, საზოგადოებას ყოველგვარი უფლება ექნება, ხელისუფლებას წაუყენოს „კონსტიტუციური ულტიმატუმი“, ანუ გამოაცხადოს უნდობლობა“.

ასეთი აქტი შედგა კიდეც. 800 ათასზე მეტი საქართველოს მოქალაქის არჩეულმა „სახალხო წარმომადგენლობითი კრების“ 11 ათასზე მეტმა დელეგატმა 2010 წლის 25 ნოემბერს, ანუ პრეზიდენტისათვის „ღირსების ულტიმატუმის“ გადაცემის წლისთავზე, უნდობლობა გამოუცხადა საქართველოს პრეზიდენტს.

„ღირსების ულტიმატუმზე“ ხელმოწერის ორი წლისთავზე ჩვენ უარს ვამბობთ მიხეილ სააკაშვილისათვის წერილის გაგზავნაზე, რადგან როგორც დრო ადასტურებს, ეს „წყლის ნაყვაა“. სააკაშვილმა, რომელმაც უცხოეთში გამოსვლებისას არაერთხელ და საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ბუშის ჩამოსვლის წინა დღეებში და შემდგომ არაერთგზის განაცხადა, რომ „ერთ კაცს რომ ჰქონდეს ჩემგან განსხვავებული აზრი, ვალდებული ვარ შევხვდე და მოვუსმინოო“ — უპასუხოდ დატოვა 2009 წლის 23 ნოემბერს, 2000-ზე მეტი ადამიანის, რამდენიმე ათეული პარტიისა და არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმოწერილი წერილიც და წინადადებაც, რომ 2010 წლის 5 მარტს მისი მონაწილეობით გამართულიყო დებატები „ღირსების ულტიმატუმში“ დასმულ საკითხებთან დაკავშირებით.

ვადასტურებთ რა პატივისცემას იმ ხალხისადმი, ვინც ხელი მოაწერა „ღირსების ულტიმატუმს“, ვინც მხარი დაუჭირა მას, ვინც თვლის, რომ, მართალაც, უხერხულია იყო ხელისუფლებაში, მით უფრო იჯდე პრეზიდენტის სკამზე და არ გქონდეს გადაწყვეტილი ხალხისათვის სასიცოცხლო ეს საკითხები და ვადასტურებთ რა მხარდაჭერას საქართველოში ერთი თვის წინათ დაწყებული პოლიტიკური პროცესისადმი, რომელმაც უიმედობის ქვეყანაში დიდი იმედი შემოიტანა, — ხალხის სამსჯავროზე გამოგვაქვს „ღირსების ულტიმატუმიც“, პრეზიდენტისადმი გაგზავნილი წერილიც.

ხალხმა განსაჯოს, სწორი ვართ თუ არა ჩვენ ჩვენს მოთხოვნებში და შეიძლება თუ არა ქვეყანას ჰყავდეს ის პრეზიდენტი, რომელიც უკვე 13 წელზე მეტია „ღირსების ულტიმატუმში“ ჩამოყალიბებულ მოთხოვნებს „ელემენტარულს“ უწოდებს და პრაქტიკულად არ ასრულებს.

გადაწყვეტილი გვაქვს კიდევ ერთხელ წარვუდგინოთ საზოგადოებას ის დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ იმას, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება, რომელიც იშენებს სასახლეებს, ცხოვრობს უკეთ, ვიდრე არაბი შეიხები, იღებს ამერიკულ ხელფასს, ხოლო მასწავლებელს, კულტურის, მედიცინის მუშაკს, სტუდენტს, სპორტსმენს, პენსიონერს აძლევს იმაზე ნაკლებს, ვიდრე გაეროს მიერ ყველაზე ცუდად შეფასებული ნიგერიის ხელისუფლება... რომ საქართველოს ხელისუფლება პრაქტიკულად საკუთარ ხალხს უწყობს გენოციდს (ყველა დოკუმენტის ნახვა შეგიძლიათ ვებ.გვერდზე tetrebi.org)

საქართველოში ყოველი შეხვედრის დროს ტრივიალურად იქცა შეკითხვა: გვეშველება?

ჩვენი პასუხი მარტივია და იმედიანი: დავიბრუნოთ ღირსება და გვეშველება!

ღირსება აქვს იმ ხალხს, ვინც არ ითმენს იმ ხელისუფლებას, რომელიც უღირსად ექცევა საკუთარ ხალხს.

დუმილი დღეს ღირსების დაკარგვის ტოლფასია!

**თეიმურაზ შაშიაშვილი,**
ახალი პოლიტიკური ძალა
„თეთრი მოძრაობა“ („თეთრები“)

# „ღირსების

## ანუ საკითხები, რომელთაც პრეზიდენტი ცამეტ წელზე

## დუმილი დღეს ქვეყნის ღალატის, საკუთარი ღირსების დაკარგვის ტოლფასია!

ხელისუფლების უპირველესი კონსტიტუციური მოვალეობაა, უზრუნველყოს ადამიანისთვის ბუნებით ბოძებული სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების უფლების დაცვა, შეუქმნას მოქალაქეებს ადამიანური არსებობის პირობები. ხელისუფლება, რომელიც ამას ვერ (ან არძ აკეთებს, საკუთარ თავს აყენებს კონსტიტუციის გარეთ. „ღირსების ულტიმატუმში“ ჩამოყალიბებული საკითხები არის უპირველესად მოსაგვარებელი, სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე და გადაუდებლად გადასაწყვეტი:

1. 2010 წლის პირველი იანვრიდან —
- პენსია;
- მინიმალური ხელფასი;
- ლტოლვილთა შემწეობა;
- უმუშევართა შემწეობა;
- სტიპენდია

გაუტოლდეს საარსებო მინიმუმს. საარსებო მინიმუმი განისაზღვროს დამოუკიდებელ ექსპერტთა მიერ მსოფლიოში მიღებული პრინციპების საფუძველზე;

2. დადგინდეს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან და სახელმწიფო დაწესებულებებში გასაცემი მაქსიმალური ხელფასი არ შეიძლება იყოს მინიმალურზე (მათ შორის პენსიაზეძ 20-ჯერ მეტი;

3. მოხდეს პოლიტპატიმრების უპირობო განთავისუფლება;

4. 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის აუცილებელ მოთხოვნებად განისაზღვროს:

განათლების და ჯანმრთელობის დაცვის პრიორიტეტული დაფინანსება.

სტუდენტის მიერ სწავლისათვის გადასახდელი თანხა არ უნდა აღემატებოდეს სწავლის ღირებულების 10%-ს.

უზრუნველყოფილი იქნას საბავშვო ბაღების სრული სახელმწიფო დაფინანსება კონტინგენტის ლიმიტირების გარეშე .

მოსახლეობის სრული და საყოველთაო სამედიცინო დაზღვევის უზრუნველყოფა.

სოფლის მეურნეობისთვის საქართველოს ბიუჯეტის მინიმუმ 10%- ის გამოყოფა.

მცირე ბიზნესისა და დასაქმების პროგრამებისათვის საქართველოს ბიუჯეტის 10% -ის გამოყოფა

5. აღიარებული იქნას საკუთრების ხელშეუხებლობა. მოხდეს წართმეული ქონების უპირობოდ დაბრუნება.

6. საზოგადოებრივი ტელევიზია დაუბრუნდეს საზოგადოებას, ტელეკომპანია „იმედი“ — მის ნამდვილ მეპატრონეს.

7. ახალი კონსტიტუციის მიღებამდე შეჩერდეს ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეებზე ლიცენზიების გაცემა და სტრატეგიული ობიექტების პრივატიზაცია .

8. ყოველთვიურად გამოქვეყნდეს ყველა დონის (სახელმწიფო, მხარე, ქალაქი, რაიონიძ ბიუჯეტში შესული თანხების მოცულობა, წყაროები და სრული ინფორმაცია მათი ხარჯვის შესახებ.

9. ექსპერტთა მონაწილეობით (პარიტეტულ პრინციპებზეძ შესწავლილი იქნას : პურზე, შაქარზე, საერთოდ პირველადი მოხმარების საკვებ პროდუქტებზე, სამედიცინო მომსახურებაზე, მედიკამენტებზე, ტრანსპორტზე, სატელეფონო მომსახურებაზე, საწვავზე, გაზზე, ელექტროენერგიაზე დაწესებული ფასების საფუძვლიანობა (ზედაპირული ანალიზითაც ჩანს, რომ ზრდა ხელოვნურია და შეიძლება ფასების განახევრებაძ.

10. გაანალიზდეს (ოპოზიციის მონაწილეობითძ კომერციულ ბანკებსა და მოსახლეობას შორის წარმოქმნილი პრობლემები და მოხდეს მათი დარეგულირება სხვა ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით.

11. გაანალიზდეს საბანკო სესხების არსებული საკრედიტო განაკვეთები, ზრდის რეალური ფაქტორები. სახელმწიფომ ევროპული გამოცდილებით უზრუნველყოს იაფი კრედიტის პრობლემის გადაწყვეტა.

12. გამოქვეყნდეს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას სიკვდილის გამოძიების შედეგები.

13. შეიქმნას (პარიტეტულ პრინციპებზეძ გახმაურებულ „ქუჩის მკვლელობათა“ საქმეების შემსწავლელი საზოგადოებრივი კომისია.

14. თანამდებობიდან იქნეს გადაყენებული და მიცემული პასუხისგებაში ყველა ის თანამდებობის პირი, რომელიც დაკავშირებულია ქუჩის მკვლელობებთან.

15. თანამდებობიდან იქნას გადაყენებული ყველა ის პირი, რომელიც მონაწილეობდა ეკლესიების ნგრევასა და მრევლის დარბევაში(მიუხედავად მათი კონფესიური კუთვნილებისაძ.

16. გაიხსნას და საჯარო გახდეს 2003 წლის შემდგომ დაფუძნებული სახელისუფლებო ფონდები, მათ შორის : პრეზიდენტისა, პრემიერ- მინისტრისა, მინისტრებისა, გუბერნატორებისა, მერებისა და გამგებლებისა.

17. ახალი კონსტიტუციის მიღებამდე შეჩერდეს 2004 წლის დასაწყისში მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებების მოქმედება.

18. გამოქვეყნდეს სუკ-ის აგენტების სიები.

19. საქართველოს ყველა ქალაქისა და რაიონის მიხედვით გამოქვეყნდეს სიები იმ ობიექტებისა, რომელთა კეთილმოწყობისათვის დაიხარჯა 50 000 ლარზე მეტი (უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაშიძ.

20. გამოქვეყნდეს, როგორც მთელი ქვეყნის, ასევე ქალაქებისა და რაიონების მიხედვით სახელმწიფო მოხელეებზე გაცემული ხელფასების, პრემიების და სამივლინებო თანხების მოცულობა (უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაშიძ.

21. გამოქვეყნდეს სახელმწიფო დაწესებულებების შეკეთების, კეთილმოწყობის, სატელეფონო, სატრანსპორტო მომსახურების თანხების მოცულობები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში.

22. გამოქვეყნდეს 1992 წლიდან მიღებული უცხოური დახმარებების ჩამონათვალი და ინფორმაცია მათი ხარჯვის შესახებ.

23. გაანალიზდეს მეწარმეთა — იურიდიულ და ფიზიკურ პირთა მიერ სასამართლო ორგანოებში შეტანილ სარჩელებზე გამოტანილი განაჩენები და შედეგები გამოქვეყნდეს პრესაში.

24. ხელისუფლების, ოპოზიციის, პოლიტიკური ძალების, არასამთავრობო სექტორის, მედიის, საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობით შეიქმნას კომისია, რომელიც მოაწყობს შეხვედრებს უცხოეთში წასულ საქართველოს მოქალაქეებთან მათი უფლებების დაცვის მდგომარეობის შესწავლის მიზნით და შესაბამისი ქვეყნების ხელისუფლებებთან კავშირში იბრძოლებს მათთვის მინიმუმ იმავე პირობების შექმნისთვის, როგორიც ჩვენს ქვეყანაში აქვთ ამ ქვეყნების მოქალაქეებს.

25. პრეზიდენტმა შეასრულოს მისი წინასაარჩევნო დაპირება პენსიების სტაჟისა და დამსახურების მიხედვით განსაზღვრის თაობაზე და აღადგინოს ყველა ის შეღავათი, რომლებიც გაპრეზიდენტების შემდგომ გააუქმა და ამის თაობაზე არ ჰქონია გამოცხადებული წინასაარჩევნო პერიოდში.

„ღირსების ულტიმატუმის“ მოთხოვნათა შესრულება შეჯამდეს 2010 წლის მარტში ეროვნულ კრებაზე. თუ ხელისუფლება არ შეასრულებს სასიცოცხლო მნიშვნელობის ამ მოთხოვნებს, საზოგადოებას ექნება ყოველგვარი უფლება, ხელისუფლებას წაუყენოს „კონსტიტუციური ულტიმატუმი“, ანუ გამოაცხადოს დაუმორჩილებლობა.

**ახალი პოლიტიკური ძალა „თეთრი მოძრაობა“ („თეთრები“); დიმიტრი ყიფიანის საზოგადოება; თავისუფლებისა და მშვიდობის ფონდი; პარტია „ჩვენი საქართველო — თავისუფალი დემოკრატები“; კონსერვატიული პარტია; მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის; საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი; ქალთა პარტია; პარტია „ჩემი საქართველო“; მოძრაობა „გადავარჩინოთ სიცოცხლე“; „თბილისელი დედების კავშირი“; მოძრაობა „7 ნოემბერი“; ორგანიზაცია „რატომ?!“; „სახალხო მოძრაობა საქართველოს გადარჩენისათვის“; „საზოგადოებრივი ექსპერტიზის დარბაზი“;**

### პროფესორები, მეცნიერების წარმომადგენლები:

**მერაბ ჯიბლაძე, თემურ გუგუშვილი, გია ჭუბაბრია, ოთარ ჟორდანია, რეზო ბალანჩივაძე, ჰამლეტ მელაძე, გიგა ბათიაშვილი, სულხან ქემოკლიძე, დემურ ბაშელეიშვილი, დავით გოცირიძე, გივი თალაკვაძე, რობერტ ბაბლიძე, მარიამ ცაცანაშვილი, ოთარ გამყრელიძე“;**

### ხელოვნებისა და მედიის წარმომადგენლები:

**დიმა ჯაიანი, რეზო ესაძე, ლევან ღვინჯილია, არჩილ გოგელია, მამუკა ღლონტი, მალხაზ გულაშვილი, ჯაბა ხუბუა, მამუკა ვაშაკიძე, რუსლან რუსია“;**

### უცხოეთში მცხოვრები ქართველები:

**მანუჩარ კაჭახიძე — ამერიკა, შოთა ჯიქია — თურქეთი, ქეთი კრებსები — შვეიცარია, გია სიგუა — უკრაინა, მაია ჩემია — რუსეთი, გიგა ლიპარტელიანი — რუსეთი, გულიკო წიკლაური — ამერიკა;**

### მოკლული ბიჭების მშობლები:

**იური ვაზაგაშვილი, სოსო რობაქიძე, ია მეტრეველი, ჯამბულ გამცემლიძე**

**სულ 23 ნოემბერს ხელი მოაწერა 1000-ზე მეტმა მოქალაქემ.**

№ 223. შაბათი, 26 ნოემბერი, 2011 წელი.

# ულტიმატუმი“

## მეტია უწოდებს „ელემენტარულს“ და პრაქტიკულად კი არ ასრულებს

## წერილი პრეზიდენტს

თქვენო აღმატებულებავ,
ბატონო პრეზიდენტო

ასეთი მომართვით რომ ვიწყებ, ვადასტურებ პატივისცემას კანონისა და პრეზიდენტის ინსტიტუტისადმი.

ბევრს მიაჩნია, რომ თქვენთვის წერილის გამოგზავნა წყლის ნაყვაა. ცუდია, ასეთი აზრი, თუნდაც ერთ ადამიანს ჰქონდეს, მაგრამ ამ დღეებმა დამარწმუნა, რომ ეს უმრავლესობის აზრია.

ასეთი ფიქრის საფუძველი მეც მაქვს. გასული წლის 23 ნოემბერს, 2000-ზე მეტი ადამიანის, რამდენიმე ათეული პარტიისა და არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმოწერით ჩავაბარეთ „ღირსების ულტიმატუმი“ . თქვენ, პიროვნებამ, რომელმაც უცხოეთში გამოსვლებისას არაერთხელ, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ბუშის ჩამოსვლის წინა დღეებში განაცხადეთ, რომ „ერთ კაცს რომ ჰქონდეს ჩემგან განსხვავებული აზრი, ვალდებული ვარ შევხვდე და მოვუსმინო“ – უპასუხოდ დატოვეთ წერილიც და წინადადებაც, რომ მიმდინარე წლის 5 მარტს თქვენი მონაწილეობით გამართულიყო დებატები „ღირსების ულტიმატუმის“ საკითხებთან დაკავშირებით.

მიუხედავად იმისა, რომ თქვენთვის წერილის გამოგზავნის თაობაზე ხალხში ასეთი პესიმისტური განწყობაა, მიუხედავად იმისა, რომ თქვენ საჭიროდ არ ჩათვალეთ მოსახლეობისათვის სასიცოცხლო საკითხების „ღირსების ულტიმატუმის“ პასუხი, მაინც გადავწყვიტე ამ წერილით მოგმართოთ. თუ თქვენ ეს საკითხები არ გაწუხებთ, საჭიროდ არ თვლით, ანგარიშვალდებული იყოთ თქვენი ამომრჩევლების წინაშე, ამ წერილის გამოქვეყნებით იმას მაინც შევძლებ, რომ სწორედ ხალხმა, ამომრჩეველმა განსაჯოს, სწორი ვარ თუ არა ამ საკითხების დასმაში და თუ ჩვენ სწორად ვსვამთ საკითხებს, ხალხმა გადაწყვიტოს თქვენ ხართ თუ არა ამ ხალხის ინტერესების გამომხატველი და უნდა იყოთ თუ არა მათი პრეზიდენტი.

ამ წერილს თქვენს კანცელარიაში ჩაბარებამდე ინტერნეტტელევიზია „თეთრების“ პირდაპირ ეთერში ვკითხულობ სწორედ „ღირსების ულტიმატუმის“ ფონზე.

წერილში ვაანალიზებ შემდეგ პრობლემებს:

პირველი: 1998 წლის სამხედრო და 2003 წლის საარჩევნო ამბოხი;

მეორე: პოლიტიკური ლუსტრაცია;

მესამე „ღირსების ულტიმატუმი“;

მეოთხე: თქვენდამი მორჩილი მედიის ვნებანი და თქვენი მართვის სტილი: იგნორირება, თვალთვალი, ძალადობა, ტყუილი, სოციალური დემაგოგია;

მეხუთე: ნუთუ მართლა გჯერათ და ნუთუ მართლა არ იცით.

თქვენდამი კეთილგანწყობილმა საინფორმაციო საშუალებებმა ბრალი დამდეს ვალერი გელაშვილისაგან 150 ათასი დოლარის აღებაში (მისგან დახმარება რომც მიმეღო, ამაში დანაშაულს ვერ ვხედავძ, შეურაცხყოფა მიაყენეს ბატონ გოჩა ძასოხოვს, პიროვნებას, რომელსაც თქვენ თავის დროზე ეროვნული გმირი უწოდეთ, რომლისგანაც დარწმუნებული ვარ, არაერთი ფინანსური დახმარება გაქვთ მიღებული, პიროვნებას, რომელსაც ნამდვილად ქართული განწყობა აქვს, რომელმაც ამ დღეებში გამოსვლაც გააკეთა: „საქართველო გაბრწყინდება, იცოდეთ!“ , რომელმაც რუსეთის საინფორმაციო საშუალებებით გააკეთა განცხადება „გვაცადეთ რუსეთის და ამერიკის ხელისუფლებებმა და ოსები, აფხაზები და ქართველები შევქმნით ისეთ ქართულ სახელმწიფოს, რომლითაც მთელი მსოფლიო იამაყებს.“

ბატონო პრეზიდენტო,

ჩემს მიმართ გამოთქმული ამ უაზრო ბრალდების გარკვევას თქვენ არ გთხოვთ. ეს რომ მზაკვრული სიცრუეა, თქვენსავე „ჯიბის სასამართლოშიც“ კი შევძლებ ამის დამტკიცებას და საკუთარი ღირსების დაცვას.

იმავე საინფორმაციო საშუალებებმა მე სიხარბესა და გაუმაძღრობაში დამადანაშაულეს, რომ მიღებული თანხის დიდი ნაწილი პირადი ინტერესებისთვის გამოვიყვანე. როგორც ჩანს, თქვენს ჟურნალისტებს ისეთივე ვგონივარ, როგორიც თქვენი პარტიის ლიდერთა და „ნაციონალური“ მთავრობის წევრთა უმრავლესობა იყო და არის.

ამ წერილს არც ამ მიზნით გიგზავნით. წერილს თან ახლავს ჩემი ხელწერილი, რომელსაც ათ წელზე მეტია, რეგულარულად ვაქვეყნებ და ათ წელზე მეტია, თქვენც გთხოვთ იმავეს გაკეთებას. მე, თემურ შაშიაშვილი, თქვენი ჟურნალისტების მიერ ხარბად და გაუმაძღრად შერაცხული პიროვნება, რომელსაც დედამიწის ზურგზე მამა-პაპისეულის გარდა არაფერი გამაჩნია საკუთრებაში, მოგმართავთ თქვენ, უწესიერეს, უკეთილშობილეს და პატიოსან ხალხს, გამოაქვეყნოთ ასეთივე შინაარსის ხელწერილი.

ამასთან, გულწრფელად გილოცავთ, რომ თქვენ აღისრულეთ თქვენი დიდი სურვილი, იგნორირება გაუკეთოთ თქვენთვის მიუღებელ თემებს და თქვენთვის მიუღებელ პოლიტიკურ პერსონებს, საზოგადო მოღვაწეებს და შექმენით ის, რომ მთელი სატელევიზიო სივრცე უჭირავს თქვენთვის სასურველ თემებს და თქვენთვის მისაღებ პერსონებს, მათ შორის იმათ, რომლებიც თავგამოდებით ამტკიცებენ საკუთარ ოპოზიციონერობას.

ბატონო პრეზიდენტო,

თქვენს (სწორედ რომ თქვენსძ ტელეარხებს რომ ვუყურებ, შთაბეჭდილება მრჩება, რომ სხვა ქვეყანაში ვარ, მაგრამ მერე, როცა „მაესტროსა“ და „კავკასიაზე“ გადავრთავ, ნაწილობრივ მაინც ვბრუნდები საქართველოში.

ნუთუ მართლა გგონიათ, რომ ქვეყანაში მხოლოდ 6% ცხოვრობს სიღარიბეში... ნუთუ მართლა ფიქრობთ, რომ საარსებო მინიმუმი 100-130 ლარის ფარგლებშია... ნუთუ ფიქრობთ, რომ ქვეყანაში რომელიმე რეფორმა გატარდა, ან განათლების, ან საგადასახადო, ან ეკონომიკური, ან სასამართლოა თავისუფალი, ან ციხეებშია კარგი მდგომარეობა... ნუთუ გჯერათ, რომ ქვეყანაში კორუფცია არ არის, ნუთუ არ იცით, როგორ ცხოვრობენ თქვენი ხელისუფლების წევრები: რა სასახლეები და აგარაკები აიშენეს, როგორ მოაწყვეს, როგორი ფუფუნებით ცხოვრობენ, სად და როგორ აგარაკებზე ისვენებენ... ნუთუ თქვენ, ის პიროვნება, სხვისი სახლების სურათებს რომ უფრიალებდით შევარდნაძეს, ვერ ხედავთ სად ცხოვრობს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი, რა ქონებას ფლობენ კოდუები, ახალაიები, ბეჟუაშვილები, ბოკერიას ოჯახი, კეზერაშვილი, უგულავას ოჯახი, მერაბიშვილი და საერთოდ, თქვენი მინისტრები, დეპუტატები, გუბერნატორები, მერები, გამგებლები, ნუთუ ვერ ხედავთ, რა გამომწვევად იქცევიან ხელისუფალთა მეუღლეები, მთელი უცხოური გრანტები რომ ხელში ჩაიგდეს, ნუთუ არ იცით, რომ ქვეყანაში არ არის ბიზნესი, სადაც წილი თქვენი ხელისუფლების წევრებს არ ჰქონდეთ... ნუთუ არ იცით, რომ ყველა ტენდერს მხოლოდ ხელისუფალთა ოჯახის წევრები იგებენ. ხარაგაულში წყლის სისტემის რეაბილიტაციაც და ახმეტაში ქუჩის გაყვანაც კი არავის დაუთმეთ - პირველს პარლამენტის თავმჯდომარის ბაქრაძის, მეორეს უმრავლესობის ლიდერის ცისკარიშვილის სიმამრები დაეპატრონნენ.... ნუთუ არ იცით, როგორ თავხედობენ რაიონებში მაჟორიტარი დეპუტატები და მათი ოჯახის წევრები.

ასე უსასრულოდ შემიძლია დაგისვათ კითხვა: „ნუთუ არ იცით?“ მთელი უბედურება ის არის, რომ იცით, ყველაფერი ძალიან კარგად იცით, მაგრამ ასე გაწყობთ და რომ მოინდომოთ, მაინც ვეღარ მოერევით შექმნილ სიტუაციას, რადგან ყველამ იცის, რა ქონებას, რა ბიზნესებს ფლობენ თქვენი ოჯახის წევრები: დედა, ძმები, მამა და მამობილი, ბებიაც ზომაზე მეტად აქტიურია... ეს ხალხის დიდმა ნაწილმაც იცის... ბათუმში მოსახლეობის უმრავლესობა ზუსტად გეტყვით, რომელი ბიზნესის და რომელი ახალმშენებლობის უკან ვინ დგას, როგორ მონაწილეობენ ამ საქმეში დედათქვენი და მისი თურქი ნაცნობ-მეგობრები...

თქვენ უკვე ვერავის ვერ მოსთხოვთ (მინისტრის მოადგილის ზემოთძ წესრიგს, რადგან

თქვენს ირგვლივ ყველამ იცის, რომ ქვეყანაში მოქმედებს ფულის გათეთრების სისტემა, საქართველო გახდა ნარკოტიკებით და იარაღით ვაჭრობის მძლავრი ტრასა. საქართველო იქცა ნარკოტიკულ ქვეყნად – ყოველივე ეს კი თქვენი პირადი მონაწილეობის გარეშე წარმოუდგენელია.

მდგომარეობა იმაზე უარესია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. თქვენ გრძნობთ ამას და ცდილობთ სხვა რამეზე გადაიტანოთ ყურადღება. ამაში პოლიციის მაღალჩინოსანთა მეუღლეებიც გეხმარებიან თავისი სატელევიზიო გადაცემებით – ყაჩაღები და მკვლელები გმირებად და მეძავები ქართველი ქალის სახედ რომ სურთ წარუდგინონ მოსახლეობას. ერთობა გაჭირვებული ხალხი, ისინი ყველაზე იაფს ყიდულობენ და საქართველოში ყველაზე იაფი აგრესიაა, თქვენი აგრესიული გამოსვლები და აგრესიული ქმედებებია. საქართველოს უბედურება მოუტანა, თქვენ კი ცხინვალის ომის გამო შემოსულმა დახმარებებმა გადაგარჩინათ, პოსტი შეგანარჩუნებინათ. შთაბეჭდილება მრჩება, რომ ახალ ომზე და მის შემდგომ მილიარდებზე ფიქრობთ, ისეთი გადაწყვეტილება მიიღეთ კავკასიელებისათვის უვიზო რეჟიმის შემოღებასთან დაკავშირებით. გულდასაწყვეტია, რომ თქვენ ყოველივე ეს გაგდით, ხალხი გპატიობთ, და რაც მეტად გპატიობთ, მით მეტად თავხედი ხდება ხელისუფლება. რა გაეწყობა, მშიერ და დაუძლურებულ ქვეყანაში სიკეთე გათითოკაცებულია, ბოროტება კი ერთ „ნაციონალურ“ მუშტადაა შეკრული. ისტორიულად ცნობილია, რომ მშიერი ხალხის მართვა ადვილია და თქვენც მართავთ, მაგრამ ამას, ქართულად, ქართული სახელმწიფოს სასიკეთოდ რომ აკეთებდეთ, კიდევ კარგიო, იტყვის კაცი, მაგრამ რომელ ქართულზეა საუბარი, როცა ეკლესიების მნგრეველებს აწინაურებთ. თქვენთვის არაფერს ნიშნავს საქართველოს უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, პირველკლასელს სხვა ენის სწავლას აწყებინებთ (ამას ანალოგი არ აქვს მსოფლიოშიძ, სესხებს იღებთ, ეს მომავალი თაობების გადასახდელია და ამ ფულს განათლებაში, მეცნიერებაში, კულტურაში, სოფლის გაძლიერებაში, ბიზნესის განვითარებაში კი არა, მოჩვენებით რამეებში დებთ (ხიდები და შადრევნებიძ. ტაში გიყვართ და სამწუხაროდ ხალხიც ტაშს გიკრავთ, უფრო სწორად, საკუთარი ქვეყნის დაღუპვას უკრავს ტაშს, ბევრ ქვეყანაში კომპიუტერს პირველ კლასებში არ აჩვევენ. წიგნს აყვარებენ, „ინტერნეტის მამად“ წოდებული ბილ გეიტსი საკუთარ შვილს 45 წუთის მეტს არ სვამს კომპიუტერთან დღე-ღამის განმავლობაში – ავნებსო, თვლის იგი... თქვენ ყველაფერი გადაატრიალეთ და საწინააღმდეგოს თქმას ვერავინ გიბედავთ.

მშიერი და დაუძლურებული ხალხი ვერ გიბედავთ კითხვასაც კი, თუ რატომ იღებთ რეფერენდუმის გარეშე ასეთ კონსტიტუციას, რატომ ებრძვით პარტიების შეთანხმებულ დოკუმენტს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. არა თუ გიბედავთ ვინმე კითხვის დასმას, თქვენი ტელევიზიები სიტყვასაც ვერ ძრავენ ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე, იმის თქმაც კი ვერ გაბედეს, რომ გამოქვეყნდა თქვენდამი უნდობლობის ტექსტი, რომელსაც საერთაშორისო მასშტაბით ცნობილმა იურისტებმა უმაღლესი შეფასება მისცეს და ბევრმა ცნობილმა ადამიანმა მოაწერა კიდეც ხელი თქვენდამი უნდობლობას... ვერ ბედავენ გადასცენ სიუჟეტებიც კი „ხალხის სასამართლოში“ განხილულ საქმეებზე, მათ სრულ გადაცემაზე საუბარიც ხომ ზედმეტია.

დღეს ნებისმიერი მოაზროვნე ადამიანისათვის ცნობილია თქვენი მართვის სტილი

„იგნორირება, თვალთვალი, ტყუილი, სოციალური დემაგოგია“.

დღეს ხომ ნებისმიერი მოაზროვნე ადამიანისთვის ცნობილია ფორმულა, რომლითაც თქვენ ზიხართ პოლიტიკურ ტანკზე:

„დამშევა, გათითოკაცება, ღირსების შელახვა“.

დღეს ხომ ნებისმიერი მოაზროვნე ადამიანისთვის ცნობილია ყველაფერი ამის თუნდაც სოციალური შედეგი: საქართველოში ლუკმაპურის თანხა რომ იშოვო, ღირსება უნდა დაკარგო და მილიონერიც ღირსების დაკარგვით ხდები.

გესმით, ბატონო პრეზიდენტო, თქვენი მმართველობის დროს ლუკმაპურის შოვნაც და მილიონერად გახდომაც ღირსების დაკარგვით ხდება. ეს კატასტროფაა. დიდხანს ვეღარ გაგრძელდება. ადამიანი, რომელსაც ღირსება აქვს, მეეჭვება თქვენ პრეზიდენტად გთვლიდეთ. თქვენდამი უნდობლობის გამოცხადების პროცესი დაადასტურებს, რამდენი ღირსეული ადამიანი ჰყავს საქართველოს

დიდი მადლობა, რომ ჩემი გვარი საკუთარი ხელით ამოშალეთ იმ ოპოზიციონერთა სიიდან, რომლებიც უნდა გამოსულიყვნენ სახელისუფლებო არხზე. ამერიკის პრეზიდენტის თბილისში ვიზიტის დროს, როგორც ჩანს, ეს ყველასთვის დიდი ნიშანი იყო, გადაკეტილიყო ჩემთვის სატელევიზიო სივრცე. დიდი სიამოვნებით გთავაზობთ ინტერნეტ-ტელევიზია „თეთრებს“ თქვენი გამოსვლებისათვის. სასურველი იქნება დაავალოთ საზოგადოებრივ არხს, მოგვაწოდოს თქვენი და ჩემი 2002 წლის აპრილის დებატები ინგა გრიგოლიას გადაცემაში. გახსოვთ, ალბათ, ჩემი ბოლო ფრაზა: „საცოდავი საქართველო ასეთი მინისტრების ხელში!“ მაშინ იუსტიციის მინისტრი იყავით, დღეს პრეზიდენტი ხართ. ხალხმა განსაჯოს, სწორი იყო თუ არა ჩემი მაშინდელი შეფასება. აჩვენეთ მთელი გადაცემა და მაშინ უფრო გაუადვილდებათ დასკვნის გაკეთება.

დარწმუნებული ვარ, თქვენ მიიღებთ ჩემს ამ მარტივ წინადადებებსაც და თუ თქვენ და თქვენი ხელისუფლების ყველა წევრი ამ ხელწერილს გამოაქვეყნებთ, გარწმუნებთ, რომ ერთი ხიზანი არ დარჩება უსახლკაროდ, პენსიები გაორმაგდება, პედაგოგთა ხელფასები გაოთხმაგდება, და იქნება იმდენი, რამდენიც თქვენ ერთი თვის წინათ თქვით (მინდა ვიფიქრო, შეცდით და არ გითქვამთ გამიზნული ტყუილიძ ინტერვიუში უკრაინულ გამოცემასთან – 400-600 დოლარი.

პატივისცემით,

**თეიმურაზ შაშიაშვილი,**
ახალი პოლიტიკური ძალა
„თეთრი მოძრაობა“ („თეთრები“)

ათწლეულის ანეკდოტი

# საბჭოთა კავშირის საყრდენი, დაშლილი იმპერიის იმედი...

რა უცნაურად აზროვნებს ხოლმე ადამიანი, რა ვითარება უბიძგებს მას ზოგჯერ, ახალი მიმართულებით განსჯისკენ... ამას წინათ ერთ დაკრძალვაზე ვიყავი, დიდი ხნის უნახავი, ნაცნობი შემხვდა. როგორც ხშირად ხდება, დაკრძალვის შემდეგ არ დავშლილვართ – საღამოს, ერთი კარგი მეგობრის სახლში შევიკრიბეთ... საუზმარი წყნარად, მშვიდად მიედინებოდა – თემიდან თემაზე შეუმჩნევლად გადადიოდა: გარდაცვლილის ცხოვრება, თბილისის ახალი ამბები და ჭორები, ბიძინა ივანიშვილი, პოლიტიკა... სახლში დაბრუნებულმა ყველა დამსწრე გავიხსენე. იმ საღამოს დიდ მაგიდას თბილისის ინტელიგენციის მცირე ნაწილი უსხდა. ვერც ერთ იქ დამსწრეს ვერ გაუნათლებლობას ან ინტელექტის ნაკლებობას ვერ დავაბრალებ. იმ საღამოს ბოლო თემა ყველაზე კარგად დამამახსოვრდა, ვინაიდან ზოგიერთმა ჩემი ციტირებაც კი მოახერხა (რამაც, გამოგიტყდებით, მასიამოვნა), თუმცა, იმ საუბრის დოკუმენტურად გადმოცემას ვერ შეგპირდებით – ზოგადი მონახაზი თუ გამომივა... დიდი შესავლის თავიდან ასაცილებლად, მოკლედ მოგახსენებთ.

ვერ გავიხსენებ როგორ, რა მიზეზით ახსენეს შალვა ნათელაშვილი (ლეიბორისტული პარტიის). ეს პერსონაჟი, ისევე როგორც იმ საღამოს ყველა დამსწრე, საბჭოთა პერიოდში ცხოვრობდა, დააკადა, კარიერის შენებაც კომუნისტური წყობის დროს დაიწყო და, მოსაუბრეთა მოსაზრებით, დღესაც გამალებით აგრძელებს.

საბჭოთა ხანაში საქართველო კანონზომიერად, საერთოდ საბჭოთა ადამიანის ცხოვრების წესის მიხედვით, საოცარი ადაპტაციურ-კონფორმისტული უნარით და, ამავე დროს, თითქმის დაუჯერებელი ცინიზმით გამოირჩეოდა. ამ თვისებების მიზეზით საბჭოთა იმპერიაში საქართველო (პროცენტული შეფარდებით ერთ სულ მოსახლეზეძ, პირველ ადგილზე იდგა პარტიის წევრების რაოდენობით – ფანტასმაგორული დრო იყო. ყველა თითქოს ერთმანეთს თვალს უპაჭუნებდა და ამით უსიტყვოდ ანიშნებდა: ყველას ყველაფერი გვესმისო – თამაშის წესებია ასეთიო... პარტიულობა ცხოვრებას გვიადვილებსო... ნუ ვეჩხუბებით მაგათო (რუსებს, ანუ კრემლს, ანუ კომუნისტებსძ – მოვატყუოთ და ჩვენი ადამიანიობა შევინარჩუნოთო.

ერთ საგაზეთო სტატიაში სულ ორიოდე წინადადებით დავწერე: „თუ შალვა ნათელაშვილი მართლაც რესპუბლიკურ პროკურატურაში პარტიული ორგანიზაციის მდივანი იყო... ახლა კი დემოკრატიაზე და ხალხზე ზრუნავს – ეს ათწლეულის ანეკდოტია!". სტატიაში მოხსენიებული პერსონაჟების თაობაზე, მაშინ ბევრი შემეხმიანა – ზოგი მაქებდა, ზოგი მეგობრულად მტუქსავდა... ნათელაშვილზე კი, არც ქება ისმოდა, არც კრიტიკა – თითქოს ყველამ პირი შეკრა:

„მოგცლია ერთი – შალიკოზე როგორ დაიხარჯება ნორმალური კაცი – მაგას მართლა სერიოზულად უყურებ?!". ვუყურებდი და ვუყურებ. სახელმწიფოს უშიშროების კომიტეტი, ანუ როგორც მას რუსულ ყაიდაზე „კაგებეს" ეძახდნენ, საბჭოთა ხანაში ბევრს უკარგავდა თვალის ჩაპაჭუნების სურვილს. „კაგებეში" მომუშავე მოხელეებს, მოსახლეობა პირფერული, მლიქვნელური ღიმილით ერიდებოდა. ინტელიგენციაში „კაგებესთან" თანამშრომლობა სირცხვილად ითვლებოდა, მაგრამ, ამაზეც მხოლოდ ახლობლებთან და ისიც ხმადაბლა საუბრობდნენ. პარტიულების არ ეშინოდათ, მაგრამ მათი შეფასებისას ერთგვარი „დანაწევრებაც" იყო: რიგითი პარტიელების მიმართ შემწყნარებლურ-პასიური მიდგომა ჭარბობდა – იძულებულნი არიან თამაშის წესები დაიცვან, შევუნდოთო. პარტიაში აქტიურად კარიერის მომხვეჭელები კი ცოდვილებად მიიჩნეოდნენ.

ამიტომ, და სხვა მრავალი მიზეზის გამო, დღეს ლუსტრაციის კანონი სასიცოცხლოდ გვჭირდება. მაგრამ, ამ კანონის მიღებამდეც რაღაცის გააზრება–მიგნება სავსებით შესაძლებელია... შევიდეთ ინტერნეტში და მივაკვლიოთ შალვა ნათელაშვილის ბიოგრაფიას.

შალვა ნათელაშვილი. დაიბადა 1958 წელს, დუშეთში. ესე იგი სავარაუდოა, რომ სკოლა უნდა დაემთავრებინა (თუ კლასში არ დაუტოვებიათძ, 1974 წელს. შესაძლებელია, მან იმავე წელს ჩააბარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულზე და, ამრიგად, უნდა დაემთავრებინა უნივერსიტეტი 1979 წელს. მართალია, არ წერს რა განხრის იურისტად გამოვიდა ის „ცხოვრების ფართო გზაზე": როგორც სამოქალაქო სამართლის იურისტი თუ, თავის დროზე, სისხლის ან საერთაშორისო სამართალზე შეჩერდა? მის შემდგომ საქმიანობაში ბევრი რამაა გაურკვეველი – „მოთეთრო ლაქებია" ბიოგრაფიაში: „...შემდეგ კი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიურ აკადემიაში განაგრძო სწავლა. 1992 წელს პარლამენტის წევრობამდე გენერალურ პროკურატურაში მუშაობდა...." უნდა ვიფიქროთ, რომ აკადემიაში ის მეორე უმაღლეს განათლებას ეუფლებოდა. დაამთავრა თუ არა მან აკადემია – გაუგებარია. საერთოდ, რომელ ფაკულტეტზე სწავლობდა? საერთაშორისო ურიერთობათა? მსოფლიო ეკონომიკის? საერთაშორისო სამართლის? ამაზე დუმს.

1979 – 1992 წლებში, ესე იგი 13 წლის განმავლობაში, ის რატომღაც საქართველოს გენერალურ პროკურატურაშია. გაუგებარია: თუ დიპლომატიური აკადემია დაამთავრა – პროკურატურაში როგორ მოხვდა? თუ აკადემიიდან გააგდეს – ეთქვა მაგ მამაცხონებულს! კარგი, ჩავთვალოთ, რომ ამ შემთხვევაშიც შალვამ მორიდებულობას ვერ სძლია. ახლა პროკურატურა: რა თანამდებობა ეკავა გენერალურ პროკურატურაში? აქაც დუმს ეს „მორიდებული" კაცი...

ცოტა რამ დიპლომატიურ აკადემიაზე, რომელიც მოხელეებს ამზადებდა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემისა და... „კაგებესთვისაც"... სწორედ „კაგებეს" წარდგენის საფუძველზე ჩნდებოდნენ დიპლომატი მზვერავები. ასეთ კურსდამთავრებულ დიპლომატმზვერავისთვის საგარეო საქმეთა სამინისტროს ყურადღების და ზრუნვის გარეშე დარჩენა შესაძლებელი იყო მხოლოდ ერთი მიზეზით: სამინისტრო მხოლოდ იმ შემთხვევაში არ ერეოდა კურსდამთავრებულის განაწილებაში, თუ აკადემიაში „კაგებედან" იმთავითვე იგზავნებოდა უკვე ჩამოყალიბებული, შემოწმებულ-გადამოწმებული, ერთგული ნომენკლატურული მუშაკი. ამრიგად, აკადემიის დამთავრებისთანავე, „კაგებე" მას ან აარიდებდა საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემას, ან პირიქით ჩასვამდა სამინისტროს სისტემაში. მოკლედ: „კაგებე" ასეთი მუშაკების გაწვრთნას, საგარეო საქმეთა სამინისტროს „უკვეთავდა". როგორც წესი, საუკეთესონი იგზავნებოდნენ საელჩოებში და საკონსულოებში მრჩევლების ან ატაშეების სტატუსით და სხვა, ამგვარი შენიღბვისთვის ვარგის, თანამდებობებზე. სუსტებს საზღვარგარეთის დიპლომატიურ უწყებებს არ აკარებდნენ და საბჭოთა კავშირში სტოვებდნენ – საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში ან რესპუბლიკების „კაგებეს" ცენტრალურ აპარატებში მიჰყავდათ. „კაგებე"-ში დაბრუნებულ ყოვლად უნიჭოებს კი ამუშავებდნენ სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში ფარულ „ზედამხედველებად". ძალაუნებურად იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ შალვა ნათელაშვილი, ეტყობა, დიდი ნიჭით არ გამოირჩეოდა...

„ზედამხედველები" იყვნენ ყველგან. ისიც მართალია, რომ ყველამ იცოდა ამ ფარულ–არალეგალური საქმიანობის თანამდებობრივი ნუსხა, რომელშიც პირველ ნომრად სახელმწიფო დაწესებულების პარტიული ორგანიზაციების მდივნები ფიგურირებდნენ. შესაძლოა მკითხველმა, იმ საღამოს ყველა მონაწილეს, გვისაყვედუროს: ყველაფერი, რის დამტკიცებას ცდილობთ, მხოლოდ არაპირდაპირ სამხილებს ეყრდნობა, ეს არაკორექტულიაო.

საბჭოთა ეპოქის ადამიანი სტრიქონებს შუა გადასარევად კი კითხულობდა, მხოლოდ ინტონაციის საფუძველზეც კი სწორი აზრი გამოჰქონდა და მას სრულიად არ სჭირდებოდა პირდაპირი მტკიცებულებანი – „კაგებეს" რაღაც სხვა, „მეექვსე შეგრძნებით" ალღოს ულებდა. შეიძლება ითქვას, ის ორ პარალელურ რეალობაში არსებობდა, ერთგვარად სხვადასხვა განზომილებას ქმნიდა. ამ პარალელურ რეალობებს სურეალისტური გარემოს ელფერი დაჰკრავდა. ეს, იმ ეპოქის ადამიანისთვის, ერთდროულად შინაგანი შეფასებაც იყო და გაფრთხილების ნიშანიც. დღესაც ჩემი თაობა „კაგებეს" რაინდებს" უსიტყვოდ, შორიდანვე სცნობს.

და კიდევ: ვისაც საბჭოთა კავშირში უცხოვრია, ახსოვს, რომ იმპერია სამ კოლოსზე იდგა: კომუნისტურ პარტიაზე; სახელმწიფო უშიშროებაზე და მძიმე მრეწველობაზე. მრეწველობა დაინგრა და ეს არცაა გასაკვირი. კომუნისტური პარტია ძლივს „სუნთქავს", „კაგებე" კი ფორმალურად აღარ არსებობს. ეს მხოლოდ ფორმალურად, ვინაიდან ადამიანური ფაქტორი წყვეტდა და დღესაც წყვეტს ამ სისტემის სიცოცხლისუნარიანობას – მის არალეგალურ ან ლეგალურ (თუ „ფეესბეს" ვიგულისხმებთძ არსებობას,. „კაგებეს" სისტემა ადამიანურ ფაქტორს მძლავრად იყენებდა – ადამიანის ფსიქიკა, მისი აზროვნების სპეციფიკა და ყოფილი საბჭოთა სისტემის იდეოლოგიურ-ფსიქოლოგიური „მემკვიდრეობა" ღრმად ფესვებგამდგარი რეფლექსების ფასად, დღესაც სიცოცხლისუნარიანია.

შტაზი, „კაგებე", სიგურანცა, „ფეესბე"... თუ ჩვენ პირობითად „მეექვსე გრძნობა" გაგვაჩნია, ამ უწყებებმა ისეთი სისტემა შეიმუშავეს, რომელმაც შესაძლებლობა მისცა მათ თანამშრომლებში რეალური მეექვსე გრძნობა შეექმნათ, ადაპტაციური მექანიზმი ჩაენერგათ. „კაგებეშნიკები", გასაოცარი ქამელეონები არიან. მათი ამოცნობა მხოლოდ ჩვენ, ყოფილ საბჭოთა ადამიანებს, შეგვიძლია... ბოლო დროს ჩვენს საზოგადოებაში ხშირად ისმოდა გაფრთხილება კოლაბორაციონიზმის საშიშროებაზე. მაგრამ ჩვენი ყველაზე საშიში მტერი – შენიღბული, უხილავი და ჩასაფრებული მტერია. ამიტომ, სრულიად არაფერს ნიშნავს, რომ ნათელაშვილი გარკვეულ პოლიტიკურ პოლუსზე იმყოფება. თუ დასჭირდა, ისე სხარტად იცვლის ფერს... და საერთოდ, მას თუ დავაკვირდებით, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ პოლიტიკური პოლუსი (როგორც პოზიცია, მრწამსიძ მისთვის არ არსებობს – ნათელაშვილისთვის ეს ჩვენი სამშობლო ერთპოლუსიანია – საბჭოთაა.

სადღაც უკვე მაქვს ნათქვამი, რომ დემოკრატი შეიძლება იყოს ჭკვიანი ან სულელი, ჯანმრთელი ან ინვალიდი, შრომისმოყვარე ან პირიქით. ადამიანის შინაგანი დემოკრატულობა მის სულიერ მდგომარეობაში, მის განწყობასა და ზნეობაშია. მეტს აღარაფერს ვიტყვი – თვითონ განსაჯეთ: აქვს თუ არა, რაღაც პოლიტიკურ პოლუსზე ჩასაფრებულ ნათელაშვილს, სულიერება, რომ მის სულიერ მდგომარეობაზე ვიმსჯელოთ? რა განწყობას და ზნეობას უნდა ველოდოთ მისგან – ყოფილი იმპერიის საყრდენი კოლონაში შობილისგან?

შესაძლოა, თბილისის ინტელიგენცია წვრილმან საკითხებზე იხარჯება, შესაძლოა ის ცდება, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება – ასეთია მისი განწყობა და ამრიგად გასათვალისწინებელია.

ეს სტატია შავად უკვე დამთავრებული მქონდა, როდესაც სახლში ერთი პატიოსანი, განათლებული და მეტად თავშეკავებული მეგობარი მესტუმრა. გადაიკითხა ეს მასალა და, ჩემდა გასაკვირად, შეჰყვირა: „ეს კაცი თბილისში შარვალგამოხეული რომ ჩამოვიდა, ერთ პატიოსან ოჯახს რომ დაეჩვია და სულ „დეიდა მანიკო, დეიდა მანიკოს" გაიძახოდა – თუ ახსოვს?! მაშინ უკვე დაღდასმული იყო! ჰო, ჰო – „კაგებეს" დაღი შუქნიშანივით შუბლს უნათებდა... მაგან ჯიხური რომ გახსნას და კანფეტებით ივაჭროს, ის სჯობია!". გამეცინა – რას ლაპარაკობ, ეგ ხომ საბჭოთა კავშირის საყრდენი და დაშლილი იმპერიის იმედია! კანფეტებით ვაჭრობას „შემდეგ ცხოვრებაში" თუ დაიწყებს... – მოვუგე.

**მალხაზ ჟვანია**




სახელოვანი წლისთავი

# წინ კიდევ უფრო ძნელი სავალი გველის

„სახალხო კრებას" – სრულიად საქართველოს ეროვნულ გაერთიანებას ერთი წელი შეუსრულდა.

ჩვენი ქვეყნის ისტორიის მანძილზე, უკიდურესი შეჭირვებების ჟამს, შეიკრიბებოდა ხოლმე ერი და ბერი და ეძიებდა ქვეყნის ხსნის გზებს. ეძიებდა და პოულობდა.

მაგრამ ეს ხდებოდა გარეშე მტრებისაგან თავის დასაცავად.

დღეს შინაურ მტერთან გვიწევს ბრძოლა, რომელიც გარეშეზე ბევრად ვერაგი, ფლიდი, უმაძღარი, ულმობელი და სასტიკია.

კიდევ უფრო თანამედროვე და აქტუალურია დიდი ილიას „მამული, ენა, სარწმუნოება", რომელსაც მე ქვეყნის მცირე კონსტიტუცია ვუწოდე, სწორედ შინაური მტრების ძალისხმევით ამოფხრილი საშიშროების წინაშე.

„სახალხო კრება" – ხმა ღვთისა და ხმა ერისაა.

გასული წლის 25 ნოემბერს თბილისში დაფუძნდა არასამთავრობო და ზეპარტიული სახალხო გაერთიანება, რომელსაც სათავეში ჩაუდგნენ ქართული ლიტერატურის ცოცხალი კლასიკოსი ჭაბუა ამირეჯიბი და ჭადრაკის ყველა დროის მსოფლიო დედოფალი ნონა გაფრინდაშვილი. მათ გვერდით ამოდგნენ ქართული ინტელიგენციისა და კულტურის ცნობილი კორიფეები.

მალე აჭარაშიც დაფუძნდა 22,„სახალხო კრების" საოლქო ორგანიზაციები, რომელსაც შემოუერთდა გურიის რეგიონის სამივე რაიონი.

ერთი წლის მანძილზე „კრებამ" ხელისუფლებისაგან იწვნია გაუგონარი მეთოდებით შეიარაღებულ-შეურაცხმყოფელი წინააღმდეგობები. მიუხედავად ამისა, ჩვენი მოძრაობა იზრდებოდა და ძლიერდებოდა.

21-22 მაისს ბათუმში და 25-26 მაისს თბილისში გამართულ საპროტესტო გამოსვლებს არ ჰქონდა გადატრიალების ილუზია. ეს იყო ერის გამოფხიზლებისაკენ მიმართული ძალისხმევა.

გვეგონა, ოპოზიციური ძალები დადგებოდნენ ჩვენთან. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. ხელისუფლებამ გაუგონარი და აუწერელი სისასტიკით დაარბია სახალხო კრება. სისხლით მოირწყა რუსთაველის გამზირი.

„სახალხო კრების" აჭარის ორგანიზაციის 7 წევრი დღესაც პოლიტპატიმარი არიან. სახელმწიფო ბრალდების მიერ შეკერილი ბრალდებები ყოველ პროცესზე იმსხვრევა.

შვიდივე გმირულად იცავს თავს.

მაქსიმ გორკის თავის ნაწარმოებში – „სიმღერა შევარდენზე" – აქვს ასეთი ფრაზა: „Безумству храбрых поем мы песню", რომელიც ასე ითარგმნება: „მამაცთა სიშლეგეს ვუმღერთ ჩვენ სიმღერებს".

ივლისში „საერთო გაზეთის", ხოლო აგვისტოში „საქართველოს რესპუბლიკის" ფურცლებზე გამოქვეყნებულ პოლიტიკურ ესეებში ვწერდი:

„სიყვარული გადაარჩენს საქართველოს, სიყვარული მამულის, ენის, სარწმუნოების. „სახალხო კრება" ქვეყნისა და ერის სიყვარულის გამოხატვა ადამიანების ძრომებისა. ჩვენი ხალხის სულის ამოძახილი – „რაც მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უშენებია" – ზეციური გზაა, რომელიც ტაძართან აუცილებლად მიგვიყვანს.

ბუნებაში ყველაფერი ურთიერთკავშირშია. ეს დიალექტიკაა. სწორედ ჩვენმა თავგანწირვამ, ქვეყნის გადარჩენისათვის გაღებულმა სისხლმა საბოლოოდ გადააწყვეტინა გამოჩენილ ქართველ ქველმოქმედს, ჭეშმარიტ მამულიშვილსა და მოღვაწეს ბიძინა ივანიშვილს მთელი თავისი შეგნებითა და მრწამსით დამდგარიყო იქ, სადაც ქვეყნისა და ერის ყოფნა-არყოფნის ბედი წყდება.

გახსოვთ დიდი პოეტის ამონათქვამი: „ამაოდ მაინც ხომ არ ჩაივლის ეს განწირული სულისკვეთება".

ამაოდ არ ჩაუვლია.

„სახალხო კრებამ" ამ ერთი წლის მოღვაწეობით თავისი საქმე გააკეთა – ერი გამოფხიზლდა.

წინ კიდევ უფრო ძნელი სავალი გველის.

ღმერთია ჩვენი მფარველი.

**ვახტანგ ახვლედიანი,**
მწერალი, მხატვარი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, „სახალხო კრების" აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე.

პოეზია

## ნანა ღვინეფაძე

### ბერი დავითი — 90

### მზეჭაბუკობა



... რაც თავი მახსოვს, მსმენია,
სახელი თქვენი ზღაპრული!..
რამდენი წელი გალიეთ
შორეული და ზამთრული!..
გორა მბორგალის ბედივით
აწეწილი და დართული!
თილისმად გქქცათ მზეობა
სული და გული ქართული!..
ნამდვილად სასწაულია, –
ნამდვილად ამირანული!..
იმ ტანჯულ გზებზე რა ჯაჭვი
გქონიათ შემოკვართული!
ღმერთმა ინება გეხილათ
მამული, ეგზომ ნატრული!
................. .
რაც თავი მახსოვს, მსმენია
სახელი თქვენი ზღაპრული!
თილისმად შემოგრჩენიათ
სული და გული ქართული!..



ბატონო ჟაბუა, — გილოცავთ საუკუნესთან მიახლოებას!

აღარც მე ვარ შორს ამ მწვერვალიდან! — ხუმრობაგარეული სევდით ვამბობ ხოლმე: ევერესტზე ვარ, კიდევ ერთი რვიანი შევამატე-მეთქი!

აქედან სხვანაირად ჩანს ყველაფერი! — წარსულიც, აწმყოც და მომავალიც!

ეს აღმასვლაა და არა დაღმართი!

ამაღლებასაც წააგავს ცხადს!

სიყვარულით და პატივისცემით თქვენი წმინდა ოჯახისადმი,

ნ.ღ.

გიორგობისთვის 18, 2011 წ.

## ვალერი კვარაცხელია

### ქართული ოცნება

სადაც ღმერთი აღარ არის,
იქ ეშმაკის ნაფიქრია,
ხალხი წუხს და ხალხი შფოთავს,
— ღმერთო ჩემო, რა გვიქნია...
ღმერთმა გული აიყარა,
ჩვენზე ხელი ჩაიქნია!

თავხედთა და ურჯულოთა
დროშა ცამდე აწვდილია,
სატანასთან სამეგობროდ
ხელი უკვე გაწვდილია...
ბრმენი არ გვყავს, სათავეში
ერთი შლეგი ემაწვილია!

დღეს სახალხო მღელვარება,
დიდი გამოცოცხლებაა,
სულში სხივის გაბრწყინება
და იმედის მოცემაა...
ეს — ქართული ნაფიქრია,
ეს — ქართული ოცნებაა!

## სოკოს მოყვარული ქალბატონები

მოთხრობა

ამბავი, რომლის შესახებაც ქვემოთ მოგითხრობთ, გასული საუკუნის 80-იანი წლების აგვისტოში მოხდა:

კახეთის ყოფილ დედაქალაქ გრემში, ორმოცდაათიოდე წლის შეძლებულ გლეხს, გიორგის, ორიოდე კვირით რუსეთიდან ძმები ივანოვები ეწვივნენ ახალგაზრდა, ლამაზ მეუღლეებთან ერთად.

გიორგიმ ძმები კრასნოდარის ბაზარში სოფლიდან ჩატანილი ღვინო-არყით ვაჭრობისას, ზამთრის ერთ სუსხიან დღეს გაიცნო, ჩიქორთული რუსულით დაუმეგობრდა და ხშირად ათევდა ღამეს მათ ოჯახში...

გიორგი და მისი ცხოვრების თანამგზავრი ელენე, თბილად დახვდნენ სტუმრებს: ხაშლამას, მწვადს, ფრინველის ხორცსა და ლობიოს არ აკლებდნენ; ოჯახის გულუხვი უფროსის მარნის კარიც ღია იყო ჩამოსულთათვის.

გიორგიმ ორიოდე დღე მოულხინა სტუმრებთან ერთად, მერე ისევ თავის ბაღ-ვენახს მიუბრუნდა, მარანი კი ძმებს გადაულოცა.

საღამოს, როცა ჯაფით დაღლილი გიორგი ვენახიდან დაბრუნდებოდა და ცოტას დაისვენებდა, აივანზე იშლებოდა უხვი სუფრა. მასპინძლის თამადობით ისმებოდა ნაირ-ნაირი სადღეგრძელო; მათ შორის, განსაკუთრებული პათოსით პატარა საქართველოსა და დიდი რუსეთის...

ძმები ივანოვების მზეთუნახავი ცოლები, რომლებიც დანატრებული იყვნენ კავკასიის ბუნებას, ტკბებოდნენ კახელი კაცის მზრუნველობით მოვლილი მოზრდილი ეზოთი, გიორგის ბაღნარად და ციხესიმაგრედ რომ ექცია ორმეტრიანი სიმაღლის გალავნით. მათ წალკოტში ყველა ხილი იგემეს: გულაბი, ლეღვი, ატამი, ქლიავი... ხეებს შორის გაბმულ ჰამაკში ნებივრობით გულს რომ იჯერებდნენ, თუ ქარიანი ამინდი არ იყო და ოჯახის უფროსსაც სამუშაოზე გაიგულებდნენ, ეზოში გასაშლელ საწოლს გამოიტანდნენ, საბანაო კოსტიუმს ჩაიცვამდნენ (ძლივს რომ უფარავდათ მკერდსა და სასირცხვო ადგილს), ცხვირს ფოთლით შეიფუთავდნენ, თავზე ჭილის ქუდს დაიხურავდნენ და მცხუნვარე მზის აბაზანებს იღებდნენ.

რუსი ქალების თამამი საქციელით ნირწამხდარი ელენე ბუტბუტით აყრიდა მათ ქოქოლას:

– გაქრით, თქვენ... მეხი კი დაგაყარეთ, უსირცხვილოებო!.. შენ რაღას დაგიჭყეტია თვალები და მიშტერებიხარ ამ ტიტველა ახტაჯანებს, ჰა?.. წაუთაქებდა თავის თოთხმეტიოდე წლის შვილს მალხაზს.

„მეხდაყრილი“ ცისფერთვალება ლამაზმანები აინუნში არ აგდებდნენ დიასახლისის გამქირდავ გამოხედვას: უფრო ეფიცხებოდნენ მზეს და საოცარი ის იყო, რომ კი არ ირუჯებოდნენ, მათი ატლასივით პრიალა, მარმარილოსფერი კანი უფრო ნაზი და რძისფერი ხდებოდა...

გავიდა ერთი კვირა... ელენე საჭმელებს ამზადებდა, გიორგი შრომობდა, მალხაზი ტოლებთან ერთად მდინარეზე და ტყე-ღრეში დახეტიალებდა, ძმები ივანოვები ბახუსს უფრო ეტრფიალებოდნენ, ვიდრე ცოლებს; ცოლები კი მოწყენილობისგან ამთქნარებდნენ...

მოიწყინეს სტუმარმა ქალებმა: ისინი მშობლიურ რუსეთში თავისუფალ, ლაღ ცხოვრებას იყვნენ მიჩვეულნი. გიორგის სასახლეში ტყვედ გრძნობდნენ თავს. სურდათ სოფელში გასეირნება; აინტერესებდათ ქართული ფოლკლორული ცეკვა-სიმღერები, კახელი ხალხის ადათ-წესების გაცნობა; გულით უნდოდათ დაეთვალიერებინათ XVI საუკუნეში მაღალ გორაკზე აღმართული გრემის მთავარანგელოზთა ჯვაროვან-გუმბათოვანი ეკლესია და თან, წირვასაც დასწრებოდნენ, მაგრამ მკაცრი, ეჭვიანი ქმრების ხელში Не шагу без нас! – ეზოდან ცხვირის გაყოფას ვერ ბედავდნენ.

ქალებს ყუათიანი, კახური კერძებიც მობეზრდათ. დიეტას ვეღარ იცავდნენ წონაში მოიმატეს. მოენატრათ ბორშჩი, ხიზილალა, მსუბუქი სალათები და სხვა რუსული ნუგბარი... როცა მათ ერთ საღამოს აივნიდან დაინახეს, როგორ ჩამოატარეს შარაგზაზე ყმაწვილებმა კალათით სოკო, ორივე ნოსტალგიამ შეიპყრო, ისე მოუნდათ ეგემათ ეს დელიკატესი...

ვახშამზე ქალებმა სოკო ახსენეს.

– ჩვენს ტყეში ხვინჭასავით არის სოკო! განაცხადა მალხაზმა, რაც მშობლებმაც დაუდასტურეს.

საკმაო ხვეწნის შემდეგ ცოლებმა ქმრები დაიყოლიეს, რომ მეორე დღეს სოკოს საკრეფად წასულიყვნენ ტყეში.

სოკოს მოყვარული ქალბატონების მეგზურობა, სათანადო „ინსტრუქტაჟის“ ჩატარების მერე, მასპინძლებმა მალხაზს მიანდვეს, რომელიც ტყესაც კარგად იცნობდა და სოკოს ავ-კარგიანობაშიც ერკვეოდა...

ორიოდე სიტყვა მალხაზ-ბიჭზეც უნდა ითქვას, რომელსაც ჩვენს სალაღობო მოთხრობაში პატარა ადგილი როდი უჭირავს. თუმცა მას სტუმარი ქალების „პატრონობა“ ევალებოდა, მაგრამ რუსულ ენაში ფრიად მოიკოჭლებდა; როგორც გრემში იუმორით იტყოდნენ, რუსული „ინდაურის წიხლებივით“ იცოდა და გაქცეულ რუსს თუ გააჩერებდა...

ერთხელ, როდესაც მალხაზმა რუსული ენის მასწავლებელს თავაზიანად გაუღო საკლასო ოთახის კარი, აღმზრდელმა მას საქციელი მოუწონა და ღიმილით უთხრა:

– Молодец! очень хорошо!

მალხაზი სიხარულით ცას ეწია. სახლში მიირბინა თუ არა, დედასა და სტუმრად მოსულ დეიდას ახარა:

– სკოლაში რუსული ენის მასწავლებელს კარი გავუღე, შემაქო და ასე მითხრა: ოჩენ პლოხოვო!

დებს სიცილი წასკდათ.

– იმ კერიაგაციებულს კარი გაუღე და მაინც „ოჩენ პლოხო“ გითხრა?! ენაკვიმატად შენიშნა დეიდამ.

მას შემდეგ, გრემში სახუმარო ტერმინად იქცა გამოთქმა „ოჩენ პლოხო!“ მაშინაც კი, როცა საქმეს კარგი პირი უჩანდა...

ახლა, როცა მალხაზი უფრო ახლოს გავიცანით და გაკვრით მაინც აღვნიშნეთ, თუ რა დონეზე იდგა იმ დროს სოფლად რუსული ენის სწავლება, მივყვეთ ჩვენს გმირებს:

მეორე დღეს, ასე, თერთმეტ საათზე, სპორტულ ტანსაცმელში გამოწყობილი, მზის სათვალით, ჭილის ქუდით (რომელიც ერთხელ უკვე ვახსენეთ), ხელში ვედროთი და ჯიბის დანით შეიარაღებული სოკოს მოყვარული ქალბატონები, მალხაზის წინამძღოლობით, გზას გაუდგნენ ტყისკენ, რომელიც პატარა მდინარე ინწრობას იქით მოჩანდა. თუმცა ღამით წამოეწვიმა (რაც, საუკეთესო იყო სოკოს მიცელიუმის გასაღივებლად), მაგრამ მაინც საკმაოდ ცხელოდა.

მდინარესთან სამივემ ფეხზე გაიხადა და ფეხშიშველებმა სიამოვნებით გატოპეს წყალში, რომელიც მდოვრედ მიდუდუნებდა მზისგან გამთბარ ქვებს შორის.

ნაპირთან ობლადმდგარ ასწლოვან კაკალთან, რომელიც არავის ეკუთვნოდა და ამიტომ ყველასი იყო, მალხაზისკბილა ბიჭები შეკრებილიყვნენ და შეთვალულ, ნახევრადწენგოიანი ნაყოფით კაკლაობდნენ.

ბიჭებმა მაცდურად გააყოლეს მზერა მწყერივით ქალებს. ერთმა ანგალმა, ყოჩივით რომ ჩამდგარიყო ტოლებში, მალხაზს ეშმაკურად ჩაუკრა თვალი და ჰკითხა:

– სად მიასხამ მაგ გოგოებს, მახო?!

– სად მივასხამ და ტყეში, სოკოზე! – თავმომწონედ უპასუხა მალხაზმა.

მის გულუბრყვილო პასუხზე ბიჭებმა ჩაიხითხითეს.

– არ გეზარება მათი დევნა? – უთხრა ყოჩმა. – მდინარის ტოტი უნდა დავწყვიტოთ თევზის დასაჭერად; მერე წისქვილთან წყალს დავაგუბებთ საბანაოდ. შემოგვიერთდი!

მალხაზმა კეფა მოიფხანა:

– მერე, ესენი?.. გზა რომ აებნეთ ტყეში?

– ნუ გეშინია, ჩვენ აქ არა ვართ? შეაგულიანეს ბიჭებმა. – აუხსენი, საით უნდა წავიდნენ. მთავარია, ბილიკს არ ასცდნენ.

ცდუნება დიდი იყო; მალხაზს ჭკუაში დაუჯდა მეგობრების რჩევა – იგი ტყემდე მიჰყვა ქალებს და ქართულ-რუსულით აუხსნა:

– ამ ბილიკს მიჰყევით, დაჰკრა ფეხი გატკეპნილ მიწას. იდი, იდი, პაშოლ მაღლა, შეხვალთ ტყეში და ხეების ქვეშ აი, სოკო! ყელზე მოისვა მან ცერი. – მერე ისევ აქ – იდი სუდა!

– Хорошо, хорошо! – ღიმილით დაუქნიეს თავი მათ, მიხვდნენ, რასაც ეუბნებოდათ ბიჭი.

მალხაზი ტოლებს შეუერთდა, ქალები კი, ტაატით შეუყვნენ აღმართს, ბილიკი აიარეს და ტყეში შევიდნენ, სადაც სასიამოვნო სიგრილე იდგა; ირგვლივ ნაირფეროვანი ყვავილების და სხვადასხვა ჯიშის ხეების გამაბრუებელი სურნელი იფრქვეოდა, ხის ტოტებში საამოდ გალობდნენ ფრინველები; აკაციიდან კუნელზე ჭახჭახით გადაფრინდა ანცი შაშვი; ბუჩქებიდან ყივილით ამოფრთხიალდა მამალი ხოხობი... ქალბატონები მოხიბლული იყვნენ ბუნების სიმშვენიერით, ხარბად სუნთქავდნენ მაცოცხლებელ, კრიალა ჰაერს. მუხის ძირას, ანკარა ნაკადულთან შეისვენეს, სახე გაიგრილეს, ცივი, გემრიელი წყალი შესვეს და ნაძვნარის კორომისკენ აიღეს გეზი. ქალებმა ბავშვებივით გაიხარეს, როცა ხეების ქვეშ ხავსითა და ფოთლებით ოდნავ დაფარული უამრავი სოკო აღმოაჩინეს; ვედრო რომ გაავსეს, მათი ყურადღება ახლა მარწყვმა, მაყვალმა, პანტამ, მაღლოჯმა და უკვე მწიფე, ლალისფერმა, ველურმა ყურძენმა მიიპყრო. ყველაფერს გემო გაუსინჯეს, თუმცა ტყის ბალმა პირი გაუმწარათ...

ქალები გორის თავზე ავიდნენ, საიდანაც თვალის საამებლად მოჩანდა აშრიალებული ჭალა, რომლის იქითაც, მთის ფერდობზე, თოვლივით თეთრი ცხვრის ფარა ხარბად ძოვდა ნოყიერ ბალახს; ნაბადმოსხმული მწყემსი სევდიანად აკვნესებდა სალამურს, ხოლო ამაყი კავკასიური ნაგაზები ძუნძულით უვლიდნენ ფარას გარშემო. ფერდობის ძირშივე აეშენებინათ ფარეხი და ბინა მწყემსებისთვის.

მზე ზენიტზე იდგა, როცა ნაძვების ქვეშ, ხავერდოვან ხავსზე ნებივრად წამოწოლილ ქალბატონებს, თავზე ორი მოკლეტყაპუჭიანი, წარმოსადეგი ახალგაზრდა მამაკაცი წამოადგათ წიფლისგან გამოთლილი მსხვილი ჯოხებით ხელში. ისინი მწყემსების ბრიგადის წევრები იყვნენ და სარქლის დავალებით სოფელში მიდიოდნენ მარილისა და სხვა წვრილმანების საყიდლად; მათ გზის შესამოკლებლად გორაზე გადასვლა ამჯობინეს.

სოფლიდან შორს, ტყეში, მოულოდნელ შეხვედრაზე, ქალბატონებიცა და კაცებიც შეცბნენ...

მეცხვარეებმა გაოცებით შეათვალიერეს თითქოს ციდან ჩამოფრენილი თეთრყირმიზა ფერიები, თუმცა მალევე მოეგნენ გონს, მიესალმნენ და მზერა სოკოთი სავსე ვედროზე შეაჩერეს.

– ალე, ეტყობა, სოკოზე წამოსულან. – უთხრა ერთმა მწყემსმა მეორეს. – აქაურები არა ჩანან. ნეტა, ვისთან დგანან სტუმრად გრემში?

– აბა, რა ვიცი, – გაეპასუხა ის ახალგაზრდა, რომელსაც ალე უწოდეს. დღედაღამ ცხვარში ვართ, ვინ გვეტყვის სოფლის ახალ ამბებს? ალბათ, ტურისტები იქნებიან. ნახე, შალა, როგორი სოკო მოუკრეფიათ...

ალემ ვედრო ბალახზე წამოცალა და სოკო ჯოხით გადაქექა.

– ბიჭოო... შხამა სოკოს ხედავ? – წამოიძახა მან. – ალბათ, ქამა ეგონათ. ცრუ მანჭკვალა და წითელი შხამაც ურევია. არ სცოდნიათ საჭმელი სოკოს გარჩევა შხამიანისგან...

– Ну что?!. Что случилось, ребята? – ეკითხებოდნენ მწყემსებს გაკვირვებული ქალები.

– ეტა პლახოი. – ჯოხით მიუთითა მათ შხამიან სოკოებზე შალამ. – კუშაეტ, უმირაეტ.

როგორც ჩანს, შალა რუსულ ენაში მალხაზ-ბიჭზე შორს ვერ წასულიყო.

– А где искать сьедобные грибы? – იკითხეს ქალებმა.

– პაშლი, პაკაჟუმ, საბირაემ. – თქვა შალამ და მასთან ახლო მდგომ ქალბატონს ხელკავი გამოსდო, ამხანაგს კი უთხრა: – ალე, შენი გოგო იქით წაიყვანე, დაბურული მუხა რომ მოჩანს – უცხო თვალისგან დაგიფარავთ...

ქალები ცხვრებივით გაჰყვნენ ვნებამორეულ მწყემსებს, რომლებმაც ეს „საჩუქარი“ ღვთის წყალობად ჩათვალეს...

მზე ჩადიოდა, როცა ალემ და შალამ ქალბატონები ბებერ კაკალთან მიაცილეს, სადაც მათ მოუთმენლად ელოდა მალხაზი.

– შენთან არიან, ჯეილო, ეს გოგოები? – ჰკითხა ყმაწვილს ალემ. – აი, ძმაო, ჩაიბარე ორივე საღსალამათი. კიდევ კარგი, შევხვდით, ვედრო შხამიანი სოკოთი ჰქონდათ სავსე. ვარგისი სოკო ჩვენ მოვუკრიფეთ.

– აუუ, როგორი ნორჩი და საღი სოკოა! – ვერ დამალა აღტაცება მალხაზმა. ქამა, ნიყვი, არყა, დათვის სოკო, მჭადა... რამდენი კილო იქნება?

– ასე, ხუთიოდე... ჩაიცინეს ახალგაზრდა კაცებმა.

– რა კარგია! შესაწვავადაც გვეყოფა და დედაჩემი ალბათ, დააკონსერვებს კიდეც...

მწყემსები თავაზიანად დაემშვიდობნენ მათ. ემოციებისა და ვნებისგან დაცლილი ახალგაზრდა კაცები ძლივს მიათრევდნენ ფეხებს; სურნელოვანი ყვავილების თაიგულით ხელდამშვენებული სტუმარი ქალები კი, რომელთაც ამაყად მიუძღვოდა მალხაზ-ბიჭი, მხნედ მიაბიჯებდნენ და ხალისიანად გამოიყურებოდნენ...

ოჯახი ოვაციებით შეხვდა ტყის ნობათით სავსე ვედრით მათ მშვიდობიანად დაბრუნებას.

მომხიბლავ ქალბატონებს განსაკუთრებული კმაყოფილებით უბრწყინავდათ სახე; ბუნების წიაღში გასეირნებით ბედნიერნი, სიხარულს ვერ მალავდნენ და შთაბეჭდილებებს აღფრთოვანებით გამოთქვამდნენ: „Все было славно, великолепно, как в сказке!“

ცოლების ამაღლებული განწყობა ქმრებსაც გადაედოთ; მათ მოზრდილი ყანწები შეავსეს ოქროსფერი რქაწითელით, მაღალფარდოვანი სიტყვებით შეამკეს „ერთგული“ მეუღლეები, სულმოუთქმელად დაცალეს სასმისები და უყოყმანოდ დართეს ნება, მალხაზთან ერთად, მეორე დღესაც წასულიყვნენ ტყეში...

მართლაც, გათენდა თუ არა, კიდევ უფრო დამშვენებული სტუმარი ქალბატონები ისევ წაბრძანდნენ ტყეში სოკოს დასაკრეფად.

ლევან დათუკიშვილი

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# კრემლში პუტინის დაბრუნების შემდეგ გამორიცხული არაფერია, მათ შორის – კავკასიაში საომარი მოქმედებების გაჩაღება

**რუსეთის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევის ბოლო განცხადებებზე; დასრულებულია თუ არა ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის გამოცხადებული გადატვირთვის პოლიტიკა და, სავარაუდოდ, რა პროცესები განვითარდება პოსტსაბჭოთა სივრცეში კრემლში პუტინის დაბრუნების შემდეგ, „ინტერპრესნიუსი" რუს სამხედრო ექსპერტს, პაველ ფელგენგაუერს ესაუბრა.**



**– ბატონო პაველ, რას შეიძლება ნიშნავდეს აშშ-ის მიერ რუსეთთან დაკავშირებით „ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შეთანხმებით" ნაკისრი ვალდებულებების შეჩერება და ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განლაგების საკითხზე პრეზიდენტ მედვედევის მუქარანარევი განცხადებები? რუსეთმა არ მიიღო დასავლეთის წინადადება, მიერთებოდა ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემას, მაგრამ ამ თემაზე კონსულტაციები გარკვეულწილად მაინც მიმდინარეობდა...**

– აშკარაა, რომ მედვედევის განცხადება რუსეთის საშინაო პრობლემებს, კერძოდ, მიმდინარე საარჩევნო კამპანიას უკავშირდება. „ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების" შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე რუსეთმა უარი დიდი ხანია, თქვა. მას შემდეგ საკმაოდ დიდი დრო გავიდა და ვინაიდან რუსეთს თავისი პოზიცია არ შეუცვლია, ახლა ამერიკელებმა თქვეს უარი რუსეთთან დაკავშირებით მის შესრულებაზე. პრაქტიკულად, უკვე არსებული ვითარების ლეგალიზაცია მოხდა.

რაც შეეხება ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განლაგებასთან დაკავშირებით პრეზიდენტ მედვედევის სულელურ განცხადებას, პირადად მე არ გამკვირვებია, ვინაიდან დიდი ხანია, დავასკვენი, რომ იგი სულელია. რაც შეეხება მის მუქარებს, აქაც გაუგებარია, თუ ვისი შეშინება უნდოდა მას. თუ რუსეთი კალინინგრადში არსებულ რადარს ჩართავს, ამით ვერავის ვერ შეაშინებს, ვინაიდან ამ რადარის მუშა მდგომარეობაში ყოფნა მხოლოდ ბირთვული ომის საფრთხეს ამცირებს. მედვედევის მიერ ჩამოთვლილი 5 საპასუხო პუნქტიდან არც ერთი არავისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს.

**– ცხადია, რომ მედვედევის განცხადება საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობით და მოსახლეობაში პუტინისა და მედვედევის რეიტინგის ვარდნით არის განპირობებული, მაგრამ რუსეთში ანტიდასავლური და ანტიამერიკული რიტორიკა კიდევ ჭრის?**

– მედვედევს ამ განცხადებით რუსული აუდიტორიისათვის უნდოდა ეჩვენებინა, რომ უსაფრთხოების საკითხები კარგად ესმის და „მაგარი ბიჭია". მაგრამ, როგორც ყოველთვის, მას ძალიან ცუდად გამოუვიდა. არ ვიცი, ამ განცხადებით მისი რეიტინგი რამდენად გაიზრდება, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ანტიამერიკული და ანტიდასავლური რიტორიკა რუსეთში ჯერ კიდევ საკმაოდ მოსწონთ.

**– მედვედევისა და ოფიციალური ვაშინგტონის განცხადებები იმას ხომ არ ნიშნავს, რომ რუსეთსა და ამერიკას შორის გამოცხადებული ზედატვირთვის პოლიტიკა პრაქტიკულად დასრულებულია?**

– ვიდრე ხელისუფლებაში დემოკრატები იქნებიან, ისინი არასოდეს არ აღიარებენ, რომ ზედატვირთვის პოლიტიკა დასრულებულია და უშედეგოდ დასრულდა. ობამასათვის და „დემოკრატებისათვის" ძალიან მნიშვნელოვანია იმის მტკიცება, რომ ზედატვირთვის პოლიტიკამ გაამართლა და შედეგიანია. „დემოკრატებმა" რუსეთთან ურთიერთობების დალაგება თავისი საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად გამოაცხადეს და ახლაც ამტკიცებენ, რომ ამ მიმართულებით თეთრ სახლს საკმაოდ კარგი მიღწევები აქვს.

ასეთ ფონზე, „რესპუბლიკელები", რასაკვირველია, სულ იმაზე ისაუბრებენ – აი, ნახეთ როგორია რეალური რუსეთი. ვაშინგტონში იციან, რომ მედვედევს არავინ არაფერს ეკითხება, თუმცა, მიუხედავად ამისა, თეთრი სახლი მედვედევთან და რუსეთთან ურთიერთობაში უფრო სახის შენარჩუნებაზე იქნება ორიენტირებული.

**– არავის ეპარება ეჭვი, რომ პუტინი კრემლში ევრაზიული კავშირის იდეით ბრუნდება, რამდენად რეალურია ევრაზიული კავშირის იდეის პერსპექტივა?**

– ამ იდეას პუტინი მნიშვნელოვნად მიიჩნევს, მაგრამ აშკარაა, რომ ევრაზიული კავშირის იდეა რუსეთის საზოგადოებაში პოპულარული არ არის, განსაკუთრებით – ახალგაზრდობაში. რუსეთში ძალიან პოპულარულია ლოზუნგი – „კმარა კავკასიის კვება"! როგორ გგონიათ, ამ ადამიანებს ევრაზიულ კავშირში ტაჯიკეთის, უზბეკეთის, ყაზაკეთის ხილვა ძალიან ახარებთ? და ეს მაშინ, როცა ამ კავშირში თავისუფალი გადაადგილება ყველა ამ ერის წარმომადგენლებისთვის გარანტირებული იქნება? აშკარაა, რომ რუსეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის ევრაზიული კავშირის იდეა მიუღებელია. რუსეთის მოსახლეობისთვის არა თუ ყირგიზები, ტაჯიკები და უზბეკები არიან მიუღებელი, რუსულ სახელმწიფოში კავკასიელების ადგილს ვერ ხედავენ და თავის მოქალაქეებად არ მიაჩნიათ.

**– რუსეთის მცდელობებისა და მუქარების მიუხედავად, საქართველო კვლავაც ნატოსკენ მიისწრაფვის. გასაგებია, რომ მედვედევი რუსეთის პოლიტიკას არ განსაზღვრავს, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ კრემლში პუტინი ევრაზიული კავშირის იდეის პროექტით ბრუნდება, რამდენად მაღალია რუსეთ-საქართველოს ახალი ომის ალბათობა?**

– ამ ეტაპზე საქართველოსთან ომის საფრთხეს ვერ ვხედავ. ძნელია იმის თქმა, თუ რა იქნება რუსეთში პარლამენტისა და პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ. ახლა უფრო სერიოზული საფრთხე ყარაბაღის გამო აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის სამხედრო დაპირისპირების ალბათობასა და კასპიის ზღვის აუზში საომარი მოქმედების დაწყებას უკავშირდება. რუსეთის პოლიტიკურ და სამხედრო წრეებში აქტიურად განიხილავენ საქართველოსთან ომის მსგავს ომს აზერბაიჯანთან. ამ თემაზე მოსაზრებებს რუსულ პრესაში ხშირად შეხვდებით და არა მგონია, ეს შემთხვევითი იყოს. რუსეთი ღიად აცხადებს, რომ არ დაუშვებს აზერბაიჯანსა და თურქმენეთს შორის გაზსადენის მშენებლობას და მზად არის, ამისათვის სამხედრო მოქმედებებიც კი დაიწყოს.

ჩემი აზრით, რუსეთში პარლამენტის და პრეზიდენტის არჩევნების დასრულებამდე კავკასიაში ვითარების გართულება მოსალოდნელი არ არის, მაგრამ კრემლში პუტინის დაბრუნების შემდეგ გამორიცხული არაფერია, მათ შორის – კავკასიაში საომარი მოქმედებების გაჩაღება. თუმცა, ზაფხულამდე ჯერ საკმაოდ დიდი დროა და ჩვენ ისღა დაგვრჩენია, მოვლენების განვითარებას იმ იმედით დაველოდოთ, რომ სამხრეთ კავკასიასა და პოსტსაბჭოთა სივრცეში პროცესები საომარი მოქმედებების გარეშე განვითარდება.

**კობა ბენდელიანი**

# რუსეთი და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია: საქართველოსთან მოლაპარაკების კულისები

**მიმდინარე წლის დეკემბერში რუსეთი უნდა შევიდეს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში საქართველოსთან რთული მოლაპარაკების შემდეგ, რომელშიც შვეიცარიამ შუამავლის როლი შეასრულა. შვეიცარიელ დიპლომატებს მართლაც შეუძლიათ იამაყონ წარმატებით იქ, სადაც ყველაფერი მიუთითებდა გარდაუვალ ჩავარდნაზე: მათ მოიგონეს რაღაც ერთგვარი „პრივატიზებული" საბაჟო, რომელიც გამოყოფილი იქნება საზღვრის ცნებისგან. ეს მოლაპარაკება შედის იმ ინიციატივების რიცხვში, რომლებიც საშუალებას აძლევენ შვეიცარიას შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი საერთაშორისო ურთიერთობაში. აქ მთავარია – დუმილი და სიფრთხილე. მიუხედავად ამისა, შვეიცარიის დიპლომატიის ხელმძღვანელი მიშლენ კალმირეი მაინც დაგვთანხმდა მოეთხრო ამ გაუმჭვირვალე მოლაპარაკების ზოგიერთი მომენტის შესახებ.**

რაზეა საერთოდ საუბარი? საქართველოს და რუსეთს გაუჩნდებათ საბაჟოები, მაგრამ არა მათ საზღვარზე. დავიწყოთ თავიდან. აგვისტოდან ორივე სახელმწიფო ეწევა დავას ორი რესპუბლიკის სტატუსის შესახებ: აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი აცხადებენ თავიანთი დამოუკიდებლობის შესახებ, და ამ სუვერენიტეტს აღიარებს მოსკოვი მაშინ, როდესაც საერთაშორისო გაერთიანება მათ საქართველოს ნაწილად მიიჩნევს. დიპლომატიური ურთიერთობანი მოსკოვსა და თბილისს შორის გათიშულია და ერთმანეთთან კავშირისთვის ორივე ქვეყანამ შუამავლობისთვის შვეიცარიას მიმართა. დღეს ბერნი თბილისში რუსეთის ინტერესებს წარმოადგენს და მოსკოვში კი საქართველოს ინტერესებს.

ამ კონფლიქტის შედეგები შეინიშნება კავკასიის ფარგლებს გარეთაც. რუსეთი ისწრაფვის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში შესვლისთვის, მაგრამ ორგანიზაციის შემადგენლობაში შესვლისთვის მას სჭირდება თითოეული მისი წევრის თანხმობა. მას რომ გზა გადაუკეტონ, საკმარისია მხოლოდ ერთი ხმაც, რაც გამოიყენა კიდეც საქართველომ. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წესებში ჩაწერილია, რომ ორივე ქვეყანას უნდა ჰქონდეს ერთმანეთთან ვაჭრობის შესაძლებლობა. მაგრამ სად უნდა განთავსდეს საბაჟო თუ არა საზღვარზე? ეს საკითხი არის კიდეც საჯილდაო ქვა, ვინაიდან მხარეებს არ შეუძლიათ მოლაპარაკება იმასთან დაკავშირებით, თუ აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის რომელ მხარეს გაივლის იგი.

როგორც მიშლენ კალმი-რეი განმარტავს, ამოცანები უკიდურესად ცხადი იყო: „ჩვენ



გვჭირდებოდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ნორმების დაცვის გარანტია ტვირთბრუნვასთან დაკავშირებით რუსეთსა და საქართველოს შორის აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის სტატუსთან დაუკავშირებლად". გადაწყვეტილებასთან რომ მივსულიყავით, შვეიცარიელებმა გამოიყენეს ყველა წარმოდგენა: „საქართველოდან დაბრუნებულ ერთ-ერთ ჩემს დიპლომატს გაუჩნდა შესანიშნავი აზრი საბაჟო დერეფნების შექმნის შესახებ ზუსტი საბაჟოს ნაცვლად. ამ ნოვატორულმა იდეამ საშუალება მოგვცა გამოგვეყვანა პროცესი თითქოსდა გამოუვალი მდგომარეობიდან". მაგალითად, საკითხი შეეხება სამ ციფრებქვეშ მყოფ სამეთვალყურეო დერეფანს, რომელთა გავლითაც შეიძლება გადაადგილდნენ ტვირთი და ადამიანები.

ასეთი მიდგომა ჩვენ უფრო ნოვატორულად მიგვაჩნია: საბაჟო საქმეები დაევალება კერძო კომპანიას. როგორც ჟენეველი საერთაშორისო სამართლის პროფესორი მარსელო კოენი მიიჩნევს, „მონახული გადაწყვეტილება თავისებურად უნიკალურია და საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ ტერიტორიული საკითხი საბაჟოსგან, რაც მეტად პროფესიულია და ყველას აძლევს შესაძლებლობას შეინარჩუნოს თავისი სახე".

როდესაც შვეიცარიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი დათანხმდა გამოსულიყო შუამავლის როლში, ამ ქალბატონს შესანიშნავად ესმოდა საერთაშორისო გაერთიანების ინტერესი საკითხის სწრაფ გადაწყვეტაში: „მიზანი ნათელი იყო: საჭირო იყო რუსეთისთვის საშუალება მიგვეცა შესულიყო ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში 2011 წლის დეკემბერში". ასეთ პირობებში შეთანხმების მიღწევის ბოლო ვადად იქცა 10 ნოემბერი.

ევროპელებსა და ამერიკელებს აქვთ საქართველოზე ზემოქმედების ინსტრუმენტები, ვინაიდან ისინი მას საფინანსო დახმარებას უწევენ. მაგრამ ეს საკმარისი როდია შეთანხმების ხელმოწერის მიღწევისთვის.

წინა მუშაობის გამოცდილებით, რაც დაკავშირებული იყო შვეიცარიელი დიპლომატების შუამავლობის როლთან, შევადგინეთ წარმატების შემდეგი რეცეპტი: „შედეგისთვის რომ მიგვეღწია, შევეცადეთ მიგვეყვანა მხარეები რაციონალურ მსჯელობამდე. ჩვენ შევეცადეთ შეგვემცირებინა საკითხის სირთულე, დავყავით პრობლემები ნაწილებად და ვმოქმედებდით რაც შეიძლება მეთოდურად.

მაგრამ მოლაპარაკება გაიყინა: „ასეთი სახის მოლაპარაკებაში ყოველთვის არის ალმაფრენაც და ვარდნაც, ამიტომ უნდა იყო უკიდურესად მომთმენი. როდესაც კვირების განმავლობაში მიმდინარეობს დავა ერთი საკითხის გამო, ერთი მძიმის გამო". ღონისძიების წარმატების უზრუნველსაყოფად მიშლენ კალმი-რეიმ პირადად მიიღო მონაწილეობა: „ასეთ მოლაპარაკებაში ხდება მეტად ამაღელვებელი მომენტებიც. ატმოსფერო დაძაბულია. ხალხი ტყავიდან ძვრება, რომ მონახოს გადაწყვეტილება. ეს ამყარებს კავშირს, ქმნის სიახლოვეს".

ჩვენი უკანასკნელი ჩასვლის დროს რუსეთში და საქართველოში 31 ოქტომბერს უნდა შევხვედროდით ორივე პრეზიდენტს. ძალიან ვღელავდით, ვინაიდან ზოგიერთ პუნქტთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ჯერჯერობით ვერ მოვძებნეთ. თვითმფრინავში შევამოწმეთ ჩვენი ჰოროსკოპები. ჩემი აღმოჩნდა ძალიან კარგი. მასში ნათქვამი იყო: „კარგი დღეა მოლაპარაკებისთვის, რომელმაც შეიძლება მიგვიყვანოს რთული სიტუაციების გამორკვევასთან ან გადაწყვეტასთან".

მიღებული გადაწყვეტილება ხელსაყრელი იყო უწინარეს ყოვლისა რუსეთისთვის, რომელსაც შეუძლია შევიდეს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში. და საერთაშორისო გაერთიანებისთვის, რომლისთვისაც უფრო იოლი იქნება აწარმოოს ვაჭრობა რუს პარტნიორებთან. საქართველოს, თავის მხრივ, შეუძლია იქონიოს იმედი რუსეთში ღვინისა და მინერალური წყლების მიწოდებაზე, რუსეთი ხომ მისთვის გასაღების მთავარი ბაზარი იყო, სანამ მოსკოვმა არ გადაწყვიტა საზღვრის გადაკეტვა სანიტარიის საფუძველზე.

ამას გარდა, შვეიცარიის დიპლომატების ძალისხმევა ნაყოფს მოუტანს თავად ბერნსაც. როგორც მიშლენ კალმი-რეი მიიჩნევს, „შვეიცარიას ამ საქმეში აქვს თავისი ინტერესი. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ჩვენ ბევრი რამის ექსპორტირებას ვახდენთ რუსეთში. მეორეც იმიტომ, რომ რუსეთელებთან მჭიდრო და ხშირმა კონტაქტებმა საშუალება მოგვცეს გადაგვეჭრა ორმხრივი საკითხები ჩვენს სასარგებლოდ: ჩვენ შევთანხმდით ქვირფას ლითონებთან დაკავშირებით საათების მწარმოებლებისთვის. უახლოეს კვირებში ჩვენს სასარგებლოდ გადაწყდება, ალბათ, საკითხი შვეიცარიის თვითმფრინავების ფრენის შესახებ რუსეთის ტერიტორიაზე". მიდის თუ არა რუსეთის მხარე საპასუხო მომსახურებაზე? 4 ნოემბერს, ესე იგი შეთანხმების ხელმოწერიდან რამდენიმე დღის შემდეგ, დიდმა ოცეულმა შვეიცარიელი ფილიპ ჰილდერბრანდი აირჩია საფინანსო სტაბილურობის საბჭოს ვიცე-თავმჯდომარედ, რაც შეუძლებელი იქნებოდა რუსეთის ხმის გარეშე.

**LE TEMPS**

გამოვიდა

# ნანა ხაზარაძის ხიბლით დამშვენებული წიგნი

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის „კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებულის“ XIV ტომი, იმითაა გამორჩეული, რომ ბრწყინვალე მკვლევარისა და დიდებული ქალბატონის, პროფესორ ნანა ხაზარაძის საიუბილეოდაა მომზადებული და დასტამბული. იუბილე, რა თქმა უნდა, „მრგვალ“ წლებს გულისხმობს, ოღონდ მშვენიერთა სქესის ამგვარი შესანიშნავი წარმომადგენლის ასაკის „დასაბეზღებლად“, ღმერთმანი, კალამს არ დავასველებდი, რომ არა კრებულში პირველივე პუბლიკაციის სათაური „ნანა ხაზარაძე – 80“... თუმცა მე პირადად, იმისი ახლანდელისაც ესოდენ მჩქეფარე და ნაყოფიერი მოღვაწეობის შემყურესა და მცოდნეს, მიჭირს დაჯერება, რომ უკვე რვა ათეული მიითვალა (მარტო წლეულს შესრულებული 13 გამოკვლევა რად ღირს, სხვა მრავალმხრივ საქმიანობას რომ „შევეშვათ“...ძ!

ეგ XIV ტომი კი, პროგრამა „ლოგოსის“ ფარგლებში (პუბლიკაციები და ლონისძიებები კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სფეროშიძ აღმოცენებული, საგულისყურო, რასაკვირველია, იმითაცაა, რომ 17 მაღალკვალიფიციური ავტორი ჰყავს, რომელთაგან, შთაბეჭდილების შესაქმნელად, რამდენიმეს დასახელება საკმარისია იმათ ნაშრომებთან ერთად: თამაზ გამყრელიძე – „ძველი ქართული არამთავრული დამწერლობის ტიპოლოგია და წარმომავლობა“, ნოდარ ლომოური – „საქართველოსა და ბიზანიტიის კულტურულ ურთიერთობათა ზოგიერთი ასპექტი“, დავით მუსხელიშვილი – „ქართულ-დაღესტნური კულტურულ-ისტორიული კავშირები ადრეულ შუასაუკუნეებში“, კონსტანტინე ფიცხელაური – „იორ-ალაზნის ორმდინარეთი ბრინჯაო-რკინის ხანის საზოგადოების განსახლების ზოგიერთი ასპექტი“...

მეცნიერულად კრებულის განხილვა-შეფასების ნებას თავს როგორ მივცემ არასპეციალისტი – ამ XIV ტომს აქ მხოლოდ ვითარცა საიუბილეოს, ვითარცა „სანანაოს“ წარმოვაჩენ ორი ჩინებული, გულისგულით დაწერილი ნარკვევის წამკითხველი: ზემოხსენებული „ნანა ხაზარაძე – 80“ (ავტორი მანანა ხიდაშელიძ და „ნანა ხაზარაძე და ქართული ეთნოლოგიის პრობლემები“ (ავტორი ნინო მინდაძეძ.

საიუბილეო კრებულში ვხვდებით ნანა ხაზარაძის მიერ 1951-2011 წლებში გამოქვეყნებული ნაშრომების სიას, 205 ერთეულის (დასახელებისძ მომცველს! დიახ, ქალ-



ბატონი ნანა მკვლევრის როლშიც იუბილარია – სამეცნიერო ასპარეზზე გამოსვლის მე-60 წლისთავის აღნიშვნით, 20 წლისა ჯერ კიდევ სტუდენტი რომ შეუდგა ძნელ, მაგრამ სასახელოდ გასავლელ გზას, მართლაც რომ ფართო კვლევით სპექტრში მიმოხვეულს: ცალკე სამხრეთ კავკასიის, ცალკე ახლო აღმოსავლეთის, ცალკე სამხრეთ ევროპის ქვეყნების ეთნოკულტურული და ეთნოპოლიტიკური ისტორია პლუს თანამედროვე ისტორიის კონფლიქტოლოგიური ასპექტები! არ დაგვავიწყდეს ისიც, რომ იმ სიაში 11 მონოგრაფია შედის.

იუბილარი ქალბატონის ვრცელზე-ვრცელ მეცნიერულ თვალსაწიერზე მეტყველებს ისიც, რომ იმისი სტატიები, მშობლიურის გარდა, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ ენებზე საზღვარგარეთულ სამეცნიერო კრებულებშია გამოქვეყნებული; თვითონ ავტორი 130-ზე მეტი სამეცნიერო ფორუმის აქტიური მონაწილე გახლავთ. აქტიურობაში ლინგვისტური ფხაც კარგად ეხმარება ევროპულ ენებთან ერთად ჯერ კიდევ სტუდენტობიდან აქადურის, ურარტულის, ძველბერძნულის, ლათინურის მცოდნეს; ხოლო თუ პოეტურ ძარღვსაც გამოვუჩენთ ბავშვობაში ზღაპრების გატაცებით დამწერს, ინგლისურიდან ბაირონის, რუსულიდან პუშკინისა და სევერიანინის გატაცებით მთარგმნელს...

აქტიური ნანა ხაზარაძე მარტო კვლევით საქმიანობაში კი არა, პედაგოგიურ მოღვაწეობაშიცაა. ეგ იმისი თაოსნობით იყო, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში რომ საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის ისტორიის კათედრა დაარსდა, რომელსაც დღესაც განაგებს; ეგ ის ნანაცაა, წლების სიგრძეზე რომ ამზადებდა და დღესაც ამზადებს ბაკალავრებსა თუ ასპირანტებს, მაგისტრებსა თუ დოქტორანტებს; და კიდევ, საზოგადოებრივი მოღვაწეობის საასპარეზოზეც თავგამოჩენილი ქალბატონია, ქვეყნის ინტერესების, ხალხის ინტერესების მხურვალე დამცველი; მასწავლებელთა და მეგობართა ხსოვნის ერთგული გუშაგიცაა (თუნდაც შესანიშნავი წერილებით გიორგი მელიქიშვილზე, ანდრია აფაქიძეზე, ედუარდ მენაბდეზე, გრიგოლ გიორგაძეზე, დევი ბერძენიშვილზე, ლევან ჭილაშვილზე და სხვებზე...ძ.

„ნანა პირველად დიდი ხნის წინათ ვნახე, ბორჯომში. გამაოცა იმისმა სილამაზემ – მაღალი, თხელი, ფერმკრთალი, ქერათმიანი ფერია, რომელსაც სულ კუდში დავდევდი... დღესაც ისეთივე ლამაზი და მშვენიერია, როგორიც ყოველთვის იყო, ისეთივე შემართული; ისევე თავდაუწყებით იკვლევს საინტერესო პრობლემებს, კითხულობს ლექციებს, ამზადებს დოქტორანტებს, ეწევა საზოგადოებრივ მუშაობას – მინდა კიდევ დიდხანს გვახარებდეს თავისი არსებობითა და საგულისყურო ნაშრომებით“ – ეს მანანა ხიდაშელის გულის ამოძახილია...

...სულითა და გულით ვუერთდები (თუ შემიერთებს!ძ პროფესორი ქალბატონის შეფასებებსა და სურვილებს მეც, ქვემორე ხელმომწერი და დიდებული მანდილოსნის ნანა ხაზარაძის ხიბლის სტაჟიანი ტყვე...

**თამაზ ეზანოიძე**

საგანგაშო ვითარება

# რატომ შიშობს ხელისუფლება საგანძურის ეკლესიაში განთავსებას?

სვანეთის საგანძურის 200 ათასზე მეტ ექსპონატს და დამატებით 10 ათასზე მეტ ნივთს, რომელთა შორის სიწმინდეებიც არის, მესტიის მუსიკალური სკოლის შენობაში გადაიტანენ. დიდი დავისა და საზოგადოების წინააღმდეგობის მიუხედავად, ხელისუფლებამ მაინც შეძლო და თავისი გაიტანა. 21 ნოემბერს, კულტურის მინისტრის პირველ მოადგილეს დავით ცხადაძეს საგანძურის გადასარჩენად შექმნილი საზოგადოებრივი ჯგუფის წევრები, სოსო მანჯავიძე, შოთა გლურჯიძე, დავით ლილუაშვილი, თეა წულუკიანი და ნინო მიქიაშვილი შეხვდნენ, სადაც შეიტყვეს, რომ კულტურის სამინისტრომ ეროვნული საგანძურისა და სხვა ექსპონატების მუსიკალურ სკოლაში გადატანის გადაწყვეტილება პატრიარქის ინიციატივით შექმნილ სპეციალურ კომისიასთან შეუთანხმებლად, დამოუკიდებლად მიიღო.

მანამდე ჟურნალისტმა ნინო მიქიაშვილმა მესტიიდან საგანგებო ჟურნალისტური რეპორტაჟი მოამზადა და 2 ნოემბერს ამ საგანძურის ამსახველი ვიდეოკადრებიც გადაიღო. ვიდეოკადრებში ისმის ხმაური, რომელიც ახლავს მესტიის მუზეუმის შენობის დემონტაჟს, ლითონის თხელი ფირფიტებისგან შეკრული ე.წ. კონტეინერები თეთრი ფერისაა და ვიდეოკადრებში კარგად ჩანს, რომ ე.წ. კონტეინერები მშენებლობის პოლიგონზეა, რომლის გარშემო ნაგავია დაყრილი. საგანძურიდან 20-30 მეტრში ორი ტუალეტია – ერთი ხის და მეორე ბლოკის. კონტეინერების უკანა მხარეს კანალიზაციის მილია გამსკდარი.







ამავე ვიდეოკადრებში ნახავთ, რა ხდება ე.წ. კონტეინერების შიგნით, როგორ არის ქაღალდში გახვეული სიწმინდეები და როგორ ყრია ეთნოგრაფიული მასალა.

სიწმინდეები და სხვა ნივთები 28 ივნისს გადაიტანეს სახელდახელოდ შეკრულ ე.წ. კონტეინერებში. მუზეუმის შენობა თითქმის დანგრეულია. იმავე ადგილას აპირებენ ახალი მუზეუმის შენობის აგებას და აცხადებენ, რომ სამშენებლო სამუშაოები რამდენიმე თვეში დასრულდება.

13 ნოემბერს პატრიარქმა სვანეთის ეროვნული საგანძურის პრობლემაზე ქადაგებაშიც ისაუბრა.

საპატრიარქო ხელისუფლებას სთავაზობდა, დადებულიყო ხელშეკრულება, რომელშიც აღინიშნებოდა, რომ ახალი მუზეუმის აშენებამდე საქართველოს ეკლესია მესტიის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარს თმობდა საცავად, სადაც რასაკვირველია, წირვა-ლოცვა არ იქნებოდა.

მაგრამ ხელისუფლებამ მესტიაში, სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ეზოში, ე.წ. სპეციალურ კონტეინერებში მოთავსებული სიწმინდეების უსაფრთხო და საიმედო ადგილას გადატანის ნაცვლად, გადაწყვიტა სიწმინდეებისა და სხვა ექსპონატების დაბინავება დანესტიანებულ, ნაპრალებიან შენობაში, რომლის უკანა მხრიდან მეწყერია მიმდგარი. ეს არის მესტიის მუსიკალური სკოლის შენობა, რომელიც აეროპორტის გზაზე მდებარეობს.

კულტურის მინისტრის პირველ მოადგილეს არ აქვს პასუხი იმაზე, თუ რატომ მიიღეს ცალმხრივი გადაწყვეტილება, ეროვნული საგანძურისა და სხვა ექსპონატების მუსიკალურ სკოლაში გადატანის შესახებ. მან ამგვარი კითხვის დასმა „არანორმალურად„ მიიჩნია, – წერს ნინო მიქიაშვილი.

ეროვნულმა მუზეუმმა 21 ნოემბერს თავის ვებგვერდზე სპეციალური განცხადება გამოაქვეყნა: „საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ იხელმძღვანელა რა საქართველოს კანონმდებლობით დამტკიცებული კოლექციების და ფონდების ერთიანობისა და განუყოფლობის პრინციპით, არჩევანი გააკეთა მუსიკალურ და სამხატვრო სკოლის შენობაზე, სადაც შესაძლებელია კოლექციის სრულად დაბინავება და მუზეუმის თანამშრომლების მიერ სამუზეუმო საქმიანობის განხორციელება. შენობა აკმაყოფილებს მოთხოვნებს ფართობის, უსაფრთხოების დაცვის და სტაბილური კლიმატის უზრუნველყოფის თვალსაზრისით და ყველაზე მარტივად ადაპტირებადია.

მთავრობის გადაწყვეტილებით შენობის კეთილმოწყობა და ადაპტაცია (კლიმატკონტროლისა და სიგნალიზაციის მოწყობა, გისოსების დამონტაჟება და სხვაძ დაევალა ადგილობრივ გამგეობას და ამჟამად მიმდინარეობს სამუშაოები.

სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმის კოლექციები უმოკლეს ვადაში სრულად გადავა აღნიშნულ შენობაში უსაფრთხოებისა და სამუზეუმო წესების სრული დაცვით.

საქართველოს ეროვნული მუზეუმი წუხს, რომ მოხდა არსებული სიტუაციის პოლიტიზება, ცალკეული პირების მიერ უსაფუძვლო ჭორების აგორება და საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობა.“

მუსიკალური სკოლის შენობა მესტიისა და ზემო სვანეთის მთავარეპისკოპოსმა, მეუფე ილარიონმა რამდენიმე დღის წინ დაათვალიერა და მედიაკავშირ „ობიექტივს“ ინტერვიუ მისცა: „ეს არის ძალზედ მოუწესრიგებელი შენობა, რომლის გვერდზე ორი ნანგრევია. ეზო ღობით შემოფარგლული არ არის. ამ ეტაპზე შენობის შიგნით რემონტი მიმდინარეობს თუ არა, ეს არ ვიცი, მაგრამ ახლადგარემონტებულ შენობაში როგორ შეიძლება სიწმინდეების განთავსება?! ამ შენობის ფოტომასალა (შიგნიდანაც და გარედანაც) საპატრიარქოში წარვადგინე. ძალიან არასახარბიელო მდგომარეობაა. ჩემი აზრით, იქ ხატების განთავსება არ შეიძლება. შენობის უკანა მხარეს მეწყერია ჩამოსული. შიგნით სინესტე იყო.

ჩვენ მაშინ შევთავაზეთ წმინდა ნიკოლოზის და ილარიონ ქართველის სახელობის ტაძრები, იმ დრომდე, სანამ ახალი მუზეუმი აშენდებოდა და შესაბამისი გარემო შეიქმნებოდა, მაგრამ ეს შეთავაზება არ მიიღეს. არ ვიცი რატომ, მაგრამ ისინი შიშობენ, რომ ეს ხატები ეკლესიაში განთავსდეს, რაც ლოგიკურად ეჭვს იწვევს, თუ რატომ ხდება ასე.

ხატები კონტეინერებში ეკლესიის გარეშე გადაიტანეს; ეკლესიის წარმომადგენლებთან ერთად მათი ინვენტარიზაცია უნდა მომხდარიყო. ეს არ გაკეთდა. გამომდინარე აქედან, ჩნდება ეჭვი - საზოგადოებისა და ეკლესიისგან ფარულად რატომ ხდება ამ სიწმინდეების გადატანა?! ყველაფერი ვილოცეთ იმისთვის, რომ ეს გაეგოთ, მაგრამ არ ესმით“.

მხატვარ-რესტავრატორი მერაბ ბუჩუკური, რომელიც ამავდროულად, პატრიარქის ინიციატივით შემქნილი სპეციალური კომისიის წევრია, აცხადებს: „ეს არის ორსართულიანი, საკმაოდ ძველი შენობა. აშენებულია ჩვეულებრივ საცხოვრებელ სახლად. შენობის უკანა მხარეს მთის ნაშალია მოწოლილი – პირველ სართულს თითქმის ასცდა. გამორიცხული არ არის მეწყერიც დაიძრას. არის საშინელი სინესტე. იმის გამო რომ სინესტე იყო, ამ შენობის კედლები პირდაპირ ხით მოაპირკეთეს, რადგან იქ არსებული სინესტე არანაირ შელესილობას არ გაიჩერებდა. იატაკი ძალიან ძველი და ნახევრად დამპალია. შენობის გადახურვა არის ხის. მცირე მიწისძვრა, ან რყევა, რომ იყოს, ეს შენობა შეიძლება დაინგრეს.“

ასე რომ, საგანძური ისევ საფრთხეშია. ნინო მიქიაშვილის წერილს გამოეხმაურნენ მკითხველები. აი, რას წერენ ისინი:

„ის, რომ კულტურის სამინისტრო ეწინააღმდეგება (ასე იკვეთება მათი პოზიციაძ საგანძურის, წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში დაბინავებას, ჩემი აზრით, მიუთითებს ორ რამეზე: ერთი, რაღაც ნაწილი უკვე წაღებულია ან, მეორე,წასაღებად მზადდება.“

„რატომ დაარღვია ხელისუფლებამ შეთანხმება ექსპონატების ეკლესიის შენობაში გადატანის თაობაზე? იმიტომ ხომ არა, რომ წმინდა ნიკოლოზის ტაძარში საიმედოდ იქნებოდა დაცული საგანძური მავანთა ხელყოფისაგან? როგორც ვიდეოკადრებიდან ჩანს, საგანძურის შეფუთვასა და შენახვას პროფესიონალის ხელი არ ეტყობა, ეთნოგრაფიული ექსპონატებიც მიყრილია დაუდევრად“.

„არც მომავალი თაობა და, მით უმეტეს, არც ღმერთი არ გვაპატიებს ამას!“

მართლად სჯის ხალხი, – ყველა სიწმიდე ღვთისგანაა და ღვთის სახლში უნდა ინახებოდეს...

**ნატა ნიბლაძე**

ბატუტზე ხტომა

# ახალგაზრდებმა ვერცხლით დაიწყეს



**ბრიტანულ ბირმინგემში გრძელდება ბატუტზე მხტომელთა მსოფლიოს ჩემპიონატი. შეჯიბრებაში ახალგაზრდებიც ჩაებნენ. შესანიშნავად იასპარეზეს 17-18 წლიანებში ნანა გოგაშვილმა და თამუნა კაკაშვილმა, რომლებმაც სინქრონულ ხტომებში საკვალიფიკაციო ეტაპზე 42.600 ქულით მესამე ადგილი დაიკავეს და ფინალში გამოსვლის უფლებაც დაიმსახურეს. ქართველი სპორტსმენები გადამწყვეტ ეტაპზე უკეთ გაისარჯნენ და 44.000 ქულით მეორე ადგილი დაიკავეს. ჩემპიონობა 44.700 ქულით ბელარუსებმა – ლონიმ და ზაიცავამ მოიპოვეს. 43.900 ქულით ბრინჯაო იაპონელებს – ოტანის და ცუნოდას ერგოთ. სხვადასხვა ასაკში კიდევ სამი ქართველი მხტომელი მოსინჯავს ძალებს.**

შეგახსენებთ, რომ ბირმინგემის სალიცენზიო მსოფლიო ჩემპიონატში ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადის საგზურისთვის პეკინის თამაშების მეექვსეადგილოსანი ლუბა გოლოვინაც იბრძოდა. სამწუხაროდ, იგი რვა საუკეთესოში ვერ მოხვდა, თუმცა დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში გამგზავრების შანსი ჯერ არ დაუკარგავს, რადგან 2012 წლის 13 იანვარს სწორედ ლონდონში გაიმართება ბოლო სალიცენზიო ტურნირი, რომელშიც მსოფლიოს ჩემპიონატის მეცხრე-ოცდამეორე ადგილოსნები ოლიმპიადის ხუთი საგზურისთვის იბრძოლებენ. მათ შორის იქნება ლუბა გოლოვინაც, რომელმაც ბირმინგემში მე-12 ადგილი დაიკავა.

საგულისხმოა, რომ მომავალ ოლიმპიადაზე გამოსვლის უფლება მოიპოვა ათენის თამაშების გამარჯვებულმა, მსოფლიოს და ევროპის მრავალგზის ჩემპიონმა და პრიზიორმა ანა დოლონაძემ, რომელიც კარგა ხანია, გერმანიაშია გათხოვილი და ალემანთა სპორტულ ღირსებას იცავს. ინდივიდუალურ ხტომებში ანამ მე-6 ადგილი დაიკავა, სინქრონულში კი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

**ლექსო ცინცაძე**

ფეხბურთი

# გაგრძელება იქნება



**„ტორპედოსა“ და „ზესტაფონის“ იმერული დერბი ყოველთვის შეიცავდა ინტრიგას, მაგრამ წლეულს მათმა ბრძოლებმა განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა.**

მწვრთნელ გია გეგუჩაძის ფაქტორის გარდა, რომელმაც შუა სეზონში გადაინაცვლა ყვირილას ნაპირებიდან საქართველოს ძველ სატახტოში, ამას ხელი მეტოქეთა სატურნირო მდგომარეობამაც შეუწყო – მოგეხსენებათ, ორივენი ეროვნული ჩემპიონატის ლიდერთა ჯგუფის ბინადრები არიან.

მეზობელთა მორიგ დუელს, კენჭისყრის წყალობით, სათასო ხასიათი მიენიჭა, პირველ მეოთხედფინალურ რაუნდს კი ქუთაისმა უმასპინძლა.

როგორც მოსალოდნელი იყო, მოვლენები საინტერესოდ განვითარდა და მორიგ ეტაპზე გამსვლელის ვინაობა 7 დეკემბერს, საპასუხო მატჩის შემდეგ გაირკვევა – 1:1 (გამეზარდაშვილი; დვალიძ.

**დანარჩენი წყვილების პირველი შეხვედრები ასე დასრულდა:** „ბაია“ – „დილა“ 2:2, „მეტალურგი“ – „ვიტ ჯორჯია“ 1:0, „გაგრა“ – „მერანი“ 4:0.

* * *

**იტალიის თასის მორიგ წრეში თავი ისახელეს „ემპოლის“ ქართველმა ლეგიონერებმა.**

მართალია, მათი კლუბი ფლორენციაში „ფიორენტინასთან“ 1:2 დამარცხდა, მაგრამ, სამაგიეროდ, პრესტიჟის გოლი მასპინძელთა კარში ლევან მჭედლიძის (იგი სასტარტო შემადგენლობაში იყო და 75-ე წუთზე შეცვალესძ ზუსტი გადაცემით ირაკლი შეყილაძემ გაიტანა, რომელიც მინდორზე 59-ე წუთზე შევიდა.

ჭადრაკი

# ფინიშამდე ორი ტურით ადრე



**ხორვატეთში დასასრულს უახლოვდება სენიორ მოჭადრაკეთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს სამი წარმომადგენელიც მონაწილეობს. მე-9 ტურში წარმატებით ითამაშა ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა, რომელმაც ვალენტინა კოზლოვსკაიას სძლია, ნინო მელაშვილმა ქულა გაიყო რიმა ბილუნოვასთან, ხოლო თამარ ხმიადაშვილმა ლუდმილა საუნინასთან წააგო.**

ცხრა ტურის შემდეგ 6,5-6,5 ქულით გაფრინდაშვილი, მელაშვილი, საუნინა და სტრუტისკაია პირველ-მეოთხე ადგილებს იყოფენ.

### ტიტული შეინარჩუნა

**ალბანეთში დამთავრდა მოჭადრაკე ქალთა მსოფლიოს ჩემპიონის გვირგვინისთვის ბრძოლა ჩინელ ჰოუ იფანსა და ინდოელ ჰამფი კონერუს შორის.** ჩინელმა დიდოსტატმა მე-8 პარტიაში ყაიმს მიაღწია, მატჩში გაიმარჯვა 5,5:2,5 და მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა.

ინტერნეტიდან

## ელჩობა გაიხსენა



**2012 წლის ლონდონის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების შემდეგ იქვე უნდა გაიმართოს პარალიმპიური თამაშებიც. სწორედ ამ თამაშების მოსამზადებლად გაისარჯა როგორც მისი ელჩი, სახელოვანი ინგლისელი ფეხბურთელი დევიდ ბექჰემიც.** ის მონაწილეობდა დიდი ბრიტანეთის პარალიმპიურ საწვრთნელ შეჯიბრებებშიც, თანაც ისეთივე პირობებში, როგორც მხედველობადაზიანებული ფეხბურთელები. ის ახვეული თვალებით ვარჯიშობდა პეკინის ოლიმპიადაზე ბრიტანული გუნდის კაპიტანთან დეივ კლარკთან ერთად.

ბექჰემის თქმით, ბრიტანელმა სპორტსმენებმა გამოამჟღავნეს გამძლეობა, შემართება და ოსტატობა. თავად პარალიმპიელებს კი ეამაყებათ ფეხბურთის ვარსკვლავთან ვარჯიში და აპირებენ ბრმა ფეხბურთელთა შორის მაღალი დონის გამოჩენას.

## სასწაულმოქმედი ავარია

**ასეთი გამოდგა უკვე ავარიაში მოხვედრილი ჰოლანდიელი ველოსიპედისტი ქალისთვის მონიკა ვან დერ ვერსტისთვის ახალი ავტოავარია.**

გასაოცარია მისი ისტორია. უხეირო ოპერაციის შემდეგ ის 13 წელი ინვალიდის ეტლს იყო მიჯაჭვული, რადგან მარცხენა ფეხმა მგრძნობელობა დაკარგა თეძოს ქვევით. ის ამ დროის მანძილზე მუხრუჭებს ხელით მართავდა და თავის ქვეყანას მოუპოვა სამი მსოფლიოსა და ექვსი ევროპის ჩემპიონობა შეზღუდული შესაძლებლობების ათლეტებისთვის.





2008 წელს, როდესაც მორიგი პარალიმპიადისთვის ემზადებოდა, ის მანქანამ გაიტანა და მთლიანად პარალიზირებული იყო წელს ქვემოთ. მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ პეკინში ორი ვერცხლის მედალი მოიპოვა ჰოლანდიისთვის.

ამას წინათ მონიკა ლონდონის ოლიმპიადისთვის მზადების დროს ისევ მოხვდა ავარიაში. მოულოდნელად სწორედ მან მთლიანად დაუბრუნა სიარულის შესაძლებლობა.

ახლა მონიკა ვან დერ ვერსტი აპირებს 2016 წლის ოლიმპიადაზე გამოსვლას „სრულფასოვან“ სპორტსმენებს შორის. უკვე გააფორმა კონტრაქტი პროფესიულ გუნდთან Rabobank, სადაც ყველა გააკვირვა თავისი ვაჟკაცობითა და ნებისყოფით, აგრეთვე მიღწეული შედეგებით.

ამ სასწაულით თავად მონიკაც ძალზე გაკვირვებულია.

კალათბურთი

# ბარაქა, ზაზა!

**ევროლიგის ჯგუფური ტურნირის II წრის სტარტი ქართველ ლეგიონერთა არნახულად ხვავრიელი პირადი მონაგრით აღინიშნა – მათ თავიანთ კლუბებს ერთბაშად 49 ქულა მოუტანეს. დასანანი მხოლოდ ის გახლავთ, რომ „ჯვაროსანთა“ კვარტეტის ასეთი ძალისხმევის მიუხედავად, გამარჯვება მხოლოდ ზაზა ფაჩულიას თურქულმა გუნდმა მოიპოვა. დავძენთ, რომ ეს იყო ჩვენი ქვეყნის ეროვნული ნაკრების კაპიტნის ჯერჯერობით ყველაზე შედეგიანი მატჩი ოსმალური კარიერის განმავლობაში.**

**„ა“ ჯგუფი.** „ნანსი“ – „კანტუ“ 76:75 (მანუჩარ მარკოიშვილი – 10 ქულა, 2 მოხსნა, გიორგი შერმადინი – 9 ქულა, 3 მოხსნაძ, „ტაუგრესი“ – „ფენერბახჩე“ 90:85 (დამატებით დროშიძ, „ოლიმპიაკოსი“ – „ბილბაო“ 88:81.

„ტაუგრესი“ – 4, „კანტუ“, „ოლიმპიაკოსი“, „ნანსი“, „ფენერბახჩე“ – 3-3, „ბილბაო“ – 2 მოგება.

**VII ტურში ითამაშებენ:** „კანტუ“ – „ტაუგრესი“ (30 ნოემბერიძ, „ფენერბახჩე“ – „ოლიმპიაკოსი“, „ბილბაო“ – „ნანსი“ (1 დეკემბერიძ.

**„ბ“ ჯგუფი.** ცსკა – „ჟალგირისი“ 95:82, „უნიკახა“ – „პანათინაიკოსი“ 76:77, „ზაგრები“ – „ბროზე“ 86:74.

ცსკა – 6, „პანათინაიკოსი“ – 4, „უნიკახა“ – 3, ბროზე“, „ზაგრები“ – 2-2, „ჟალგირისი“ – 1 მოგება.

**VII ტურში ითამაშებენ:** „პანათინაიკოსი“ – „ზაგრები“, „ჟალგირისი“ – „უნიკახა“, „ბროზე“ – ცსკა (30 ნოემბერიძ.



**„გ“ ჯგუფი.** „რეალი“ – „შარლერუა“ 93:89 (თორნიკე შენგელია – 11 ქულა, 5 მოხსნაძ, „მაკაბი“ – „მილანი“ 85:76, „ეფეს პილსენი“ – „პარტიზანი“ 67:58.

„მაკაბი“ – 5, „რეალი“ – 4, „ეფეს პილსენი“, „პარტიზანი“ – 3-3, „მილანი“ – 2, „შარლერუა“ – 1 მოგება.

**VII ტურში ითამაშებენ:** „შარლერუა“ – „ეფეს პილსენი“ (30 ნოემბერიძ, „პარტიზანი“ – „მაკაბი“, „მილანი“ – „რეალი“ (1 დეკემბერიძ.

**„დ“ ჯგუფი.** „გალათასარაი“ – „პროკომი“ 78:76 (დამატებით დროში. ზაზა ფაჩულია – 19 ქულა, 10 მოხსნაძ, „მონტეპასკი“ – „უნიქსი“ 73:79, „ბარსელონა“ – „ოლიმპია“ 72:46.

„ბარსელონა“ – 6, „მონტეპასკი“, „უნიქსი“ – 4-4, „გალათასარაი“ – 3, „ოლიმპია“ – 1, „პროკომი“ – 0 მოგება.

**VII ტურში ითამაშებენ:** „უნიქსი“ – „გალათასარაი“, „პროკომი“ – „ბარსელონა“, „ოლიმპია“ – „მონტეპასკი“ (1 დეკემბერიძ.

* * *

**დღეს თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება სუპერლიგის მორიგი ტურის შეხვედრები. გაუწყებთ მათ განრიგს.**

**14 სთ. „სოხუმი“ – „ქუთაისი“.**

**16 სთ. სტუ – „არმია“.**

**18 სთ. „სამედიცინო“ – თსუ.**

„ფორმულა-1“

# ხვალ ჩემპიონატი მთავრდება



**დიახ, ფინიშთან მივიდა ავტორბოლაში „ფორმულა-1“ მსოფლიო ჩემპიონატი. ხვალ ოკეანის გადაღმა – სან-პაულუში გაიმართება მისი ბოლო ეტაპი „ბრაზილიის გრან-პრი“. თუმცა რამდენიმე ეტაპით ადრე „რედ ბულის“ პილოტმა სებასტიან ფეტელმა უკვე გაინაღდა წლევანდელი ჩემპიონობა, მაგრამ პოდიუმზე ასასვლელი რბოლა კარლოს პასეს ავტოდრომზე მაინც შეუპოვარი იქნება, რადგან ამისთვის შეუპოვრად იბრძოლებენ ბატონი, ალონსო, ეუბერი და სხვები.**

ავტოდრომზე, რომელიც 120 ათას მაყურებელზეა გათვალისწინებული, წინა რბოლებში ყველაზე ხშირად იმარჯვებდა მიხაელ შუმახერი – 4. საერთოდ კი ის პოდიუმზე 10-ჯერ ავიდა. კონსტრუქტორთა შეჯამებაში 8 გამარჯვებით ლიდერობს „ფერარი“.

ვნახოთ, როგორ დაალაგებს დანარჩენ ადგილებს 39-ე ბრაზილიური რბოლა.

◎ რეპლიკა

## ეწოდოს „აღმაშენებელი“ — არ ჟღერს თუ!..

**როგორც იტყვიან, რაც კარგია, კარგია, მართლაც თვალწარმტაცია გაახლებული პროსპექტი დ. აღმაშენებლისა! დიახ, დიახ, რაც თვალს არ გამოეპარა: დ. აღმაშენებლისა!** თქვე კაი ხალხო, ამდენი იშრომეთ, გაისარჯეთ და, სახელწოდების აღმნიშვნელი ცოტა უფრო მოზდილი აბრებიც დაგემზადებინათ, რომ სალოცავი დავით მეფის სახელი მთლიანად დატეულიყო?! ეს დ. აღმაშენებელი რა უბედურებაა!.. თუმცა, სამწუხაროდ, საქართველოში თვალი უკვე შეეჩვია ჩვენი დიდებული ადამიანების სახელის ინიციალით წერას ქუჩებში და ტრანსპორტზე. შ. რუსთაველი (რუსთაველის პროსპექტზე) ვ. ფშაველას (ზოგ მიკროავტობუსზე) და ა. შ. ანუ შევეჩვიეთ წინაპართა უპატივცემულობას, დაუდევრობა მოგვექალა...

ჰოდა, დავძლიოთ დაუდევრობა სანამ გვიან არ არის (ჯერ კიდევ უამრავი საქმეა აღმაშენებელზე) სასწრაფოდ „გავამთლიანოთ“, სახელი აღმაშენებლისა, ანდა (იდეას გთავაზობთ ქალაქის თავკაცებო), საერთოდ, მარტოოდენ **„აღმაშენებელი“** ეწოდოს პროსპექტს! არ ჟღერს თუ!

**ვილენ მარდალეიშვილი**

◎ ინფორმაცია

## ონიშჩენკომ „სარაჯიშვილის“ რუსულ ბაზარზე დაბრუნების განკარგულება გასცა

**კომპანია** „სარაჯიშვილის“ პარტნიორის — „ოპტიმა ჯგუფის“ ვიცე-პრეზიდენტის გიორგი ფილიევის პროგნოზით, წლის ბოლოს „სარაჯიშვილის“ პროდუქციის პირველი ნაკადი რუსულ ბაზარზე დაბრუნდება.

როგორც „პირველს“ ფილიევმა განუცხადა, „სარაჯიშვილის“ რუსეთის ბაზარზე რაც შეიძლება, სწრაფად დაბრუნების შესახებ განკარგულება რუსეთის ფედერაციის მთავარმა სანიტარმა გენადი ონიშჩენკომ მის თვალწინ გასცა: „ჩვენი მხრიდან წარდგენილ საჭირო დოკუმენტაციაზე პასუხს 28 ნოემბერს მივიღებთ. დიდი იმედი გვაქვს, რომ შედეგი დადებითი იქნება. შემდეგი ეტაპი კი „როსპოტრებნადზორის“ მიერ შესაბამისი კომისიის გამოყოფაა, რომელიც საქართველოში ჩამოვა და წარმოებას ადგილზე შეამოწმებს. თუ ყველაფერი კარგად წავიდა, მზად ვართ, წლის ბოლოსთვის „სარაჯიშვილი“ რუსულ ბაზარზე შევიტანოთ. ამით რუსული მხარეცაა დაინტერესებული“

რაც შეეხება საკითხისადმი ქართული მხარის დამოკიდებულებას, ფილიევის თქმით, „ამ დრომდე საქართველოს მთავრობიდან კომპანიას რაიმე საყვედური არ მიუღია“.

„მე არ ვერევი პოლიტიკაში. ჩვენ ვაკეთებთ ბიზნესს. საქართველოს მთავრობის მხრიდან არანაირი საყვედური და შენიშვნა არ მიგვიღია. ამ საკითხის მოსაგვარებლად ძალიან ბევრი დრო და ენერგია დავხარჯე, ამისთვის ვარ მოსკოვში და იმედი მაქვს, რომ ყველაფერი წარმატებით დასრულდება“, — აღნიშნა ფილიევმა.

ამასთან, „ოპტიმა ჯგუფის“ ვიცე-პრეზიდენტის თქმით, გუშინ „როსპოტრებნადზორის“ გაფართოებული სხდომა გაიმართა, რომელზეც წლის მთავარ მოვლენებს შორის „სარაჯიშვილის“ და „ბორჯომის“ საკითხი დასახელდა.

ცნობისთვის, კომპანია „სარაჯიშვილის“ ინფორმაციით, რუსულ ბაზარზე „სარაჯიშვილის“ დაბრუნების საკითხზე ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში 1300-ზე მეტი მასალა დაიწერა.

**„პირველი“**

### ვერა ქობალია რუსეთში არ ჩადის

**როგორც** ვერა ქობალიამ ჟურნალისტებს განუცხადა, რუსეთში არ ჩადის და, შესაბამისად, არ იცის, არის თუ არა ქართული ალკოჰოლური და არაალკოჰოლური პროდუქცია რუსულ ბაზარზე. თუმცა, იმ შემთხვევაში თუ იქ ქართული პროდუქცია არის, ვერა ქობალია აცხადებს, რომ ამ ეტაპზე გატანილია არალეგალურად.

„მას შემდეგ, რაც რუსეთმა და საქართველომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრებაზე მოლაპარაკებები დაასრულეს და რუსეთი 2012 წლიდან ამ ორგანიზაციის წევრი ხდება, მისთვის აუცილებელი იქნება, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესების ფარგლებში ემბარგო მოხსნას. ეს არ არის ერთი ან ორი დღის პროცესი, ამას დასჭირდება დრო, შემდეგ ქართულ ღვინოს და სხვა ტიპის პროდუქციას რუსეთის ბაზარზე გასვლის საშუალება მიეცემა“, — აღნიშნა ვერა ქობალიამ.

თუმცა, მინისტრის თქმით, აუცილებელია, რუსეთის ბაზარი არ იყოს ერთადერთი ბაზარი, რადგან ის ძალიან არამყარია.

### კომპანია „სარაჯიშვილში“ ინფორმაციას არ ფლობენ

**ალკოჰოლური** სასმელების კომპანია „სარაჯიშვილში„ არ ფლობენ ოფიციალურ ინფორმაციას, რა გადაწყვეტილება მიიღეს მოსკოვში გამართულ შეხვედრაზე , რომელიც რუსულ ბაზარზე „სარაჯიშვილისა“ და „ბორჯომის“ დაბრუნებას შეეხებოდა.

„ჩვენს ამერიკელ პარტნიორებს რუსეთის მთავარ სანიტართან, გენადი ონიშჩენკოსთან შეხვედრა ჰქონდათ. ამ შეხვედრაზე უნდა გადაწყვეტილიყო ბაზარზე „სარაჯიშვილისა„ და „ბორჯომის„ დაბრუნების საკითხი. ამ დროისთვის არ ვიცი, საბოლოოდ რა გადაწყვეტილება მიიღეს“, - განუცხადა „ინტერპრესნიუსს„ კომპანია „სარაჯიშვილის„ დამფუძნებელმა ელგუჯა ბუბუტეიშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

◎ ჩვენი კარაბადინი

## სულის დაავადებანი ციფრებსა და ფაქტებში

**ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, მსოფლიოში ყოველ მეოთხე-მეხუთე ადამიანს აწუხებს ესა თუ ის ფსიქიკური ან ქცევითი აშლილობა.**

**წარმოდგენები იმის შესახებ, რა არის და რა არა ფსიქიკური აშლილობა, იცვლება მეცნიერების განვითარებასთან ერთად. 20 წლის წინათ სოციოფობია არ ითვლებოდა ფსიქიკურ მოშლილობად, ხოლო ხალხი, ვისაც ეს სენი აწუხებდა, უბრალოდ მეტად მორცხვებად მიაჩნდათ.**



**განვითარებულ ქვეყნებში შრომისუნარიანობის დაკარგვის ძირითადი მიზეზების სიაში ათიდან ოთხი პოზიცია ფსიქიკურ მოშლილობას უკავია.**

**ყველაზე გავრცელებული ფსიქიკური მოშლილობა — ეს არის ეგრეთ წოდებული საგანგაშო მდგომარეობა: პანიკური მოშლილობა, აბეზარი მდგომარეობის ნევროზი, პოსტტრავმატული სტრესი და სხვადასხვა ფობია (შიშები).**

**გვიანი ასაკის ყველაზე გავრცელებული ფსიქიკური დაავადებებია დეპრესია და ალცჰეიმერის დაავადება.**

**რუსეთში, მაგალითად, 1,67 მილიონი კაცია ფსიქიატრიულ აღრიცხვაზე.**

**თვითმკვლელი ადამიანების 90 პროცენტს აწუხებს დეპრესიები ან სხვა ფსიქიკური დაავადებანი, ან იმყოფება ნარკოტიკულ ან ალკოჰოლურ დამოკიდებულებაში.**

**33 ბავშვიდან ერთს და 8-დან ერთ მოზარდს აწუხებს დეპრესია.**

**ამერიკის შეერთებულ შტატებში ფსიქიკური დარღვევების მქონე ადამიანებიდან მხოლოდ 2-4 პროცენტი ხვდება ფსიქიატრთან. უმრავლესობას მეთვალყურეობენ ოჯახის ექიმები.**

**ფსიქიკური მოშლილობის გავრცელება ქალაქის მოსახლეობას შორის 2-3-ჯერ მეტია, ვიდრე სოფლის მოსახლეობას შორის.**

**რუსეთში 38 მილიონ კაცს აწუხებს სხვადასხვა მოშლილობა „დისპანსერამდელ“ დონეზე და შემთხვევების უდიდესი უმრავლესობის შემთხვევაში ისინი მკურნალობენ საერთო პრაქტიკის ექიმებთან.**

**რუსეთში, ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის შეფასებით, დაახლოებით 900 ათასი კაცი შიზოფრენიითაა ავად.**

**ფსიქიკური დაავადებანი უმრავლეს შემთხვევაში ვლინდება 25 წლამდე, თუმცა ამით შეიძლება დაავადდე 40-50 წლის ასაკშიც. ფსიქიატრები ამას „გვიან დებიუტს“ უწოდებენ.**

### ფოლიანტი თუ მეპლანშეტე?

**არ არის სხვაობა ქაღალდისა და ელექტრონული წიგნების კითხვაში. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ გერმანელი მეცნიერები ამ თემაზე მსოფლიოში პირველი გამოკვლევის შემდეგ. მეცნიერებმა ახალგაზრდა და ხანდაზმულ ადამიანებს შესთავაზეს რიგრიგობით ეკითხათ ტექსტები ეკრანიდან და ჩვეულებრივ წიგნებში. ამ დროს მეცნიერები თვალყურს ადევნებდნენ თვალის დატვირთვას, ექსპერიმენტის მონაწილეებს უღებდნენ ელექტროენცეფალოგრამებს. შემდეგ მეცნიერები ანალიზს უკეთებდნენ ტექსტის საერთო გეგმას, ინფორმაციის ათვისებასა და გამოხმაურებას.**

თითქმის ყველა მონაწილემ განაცხადა, რომ მათ უფრო მოსწონთ დაბეჭდილი წიგნების კითხვა. მაგრამ ობიექტურმა გამოკვლევებმა გამოავლინეს პლანშეტურის მცირეოდენი უპირატესობა. ეკრანიდან ინფორმაციას ითვისებდნენ უფრო იოლად, ექსპერიმენტის მონაწილეებმა უფროსი ასაკის ჯგუფიდან აჩვენეს კითხვის უფრო მაღალი სისწრაფე პლანშეტნიკის გამოყენების დროს.

წიგნის კითხვა — არის უნივერსალური საშუალება შეინარჩუნო ნათელი გონება სიბერეში. ასაკთან ერთად ადამიანს შეიძლება გაუუარესდეს მხედველობა, ჩნდება კონცენტრაციების პრობლემები, მაგრამ ექსპერტები ხანდაზმულებს ურჩევენ არ მიატოვონ კითხვა: ის ავსებს სიტყვის მარაგს, ავარჯიშებს ენის გამოყენებისა და კონცენტრაციის უნარს.

### ცუდზე ნუ იფიქრებ

**ოპტიმისტები ყოველთვის ინარჩუნებენ კარგ გუნება-განწყობილებას მაშინაც კი, თუ უსიამოვნება შეხვდებათ. ბრიტანელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ტვინი კარგად ამუშავებს პოზიტიურ ახალ ამბებს და თითქმის სრულიად უგულებელყოფს ნეგატიურს.**

ხალხის 80 პროცენტი ოპტიმისტია, თუნდაც ისინი თავს ასეთად არ მიიჩნევდნენ. როდესაც აცხადებდნენ დადებით ახალ ამბებს, მოხალისეებს უფიქსირებდნენ ლობურ წილში გაზრდილ აქტიურობას. ნეგატიური ინფორმაციის დროს ყველაზე ოპტიმისტურად განწყობილ ადამიანებს აქვთ ყველაზე ნაკლები აქტიურობა ლობურ წილში, პესიმისტებთან კი, პირიქით, აღინიშნებოდა გაზრდილი აქტიურობა. გამოდიოდა, რომ ტვინი ირჩევდა, თუ ვის უნდა ენდოს.

### ტირილის ბედნიერება

**ამერიკელი ფეხბურთის მოთამაშეებს, ვინც თავს აძლევს ნებას, იტიროს წაგებული მატჩის შემდეგ, უფრო მაღალი თვითშეფასება აქვთ გუნდის იმ ამხანაგებთან შედარებით, ვისაც შეუძლია თავშეკავება.**

სპორტსმენებს შესთავაზეს, წაიკითხონ სცენარი მოთამაშე ჯეკის შესახებ, რომელიც თამაშის შემდეგ ტირის. ერთ სიუჟეტში ის ტირის წაგების შემდეგ, მეორეში — როდესაც შეხვედრას იგებს. მკვლევარები თხოვდნენ სპორტსმენებს გამოეთქვათ თავიანთი აზრი ორივე ვარიანტთან დაკავშირებით. ისინი, ვინც მიიჩნია, რომ ცრემლის ღვრა წაგების შემდეგ — სავსებით ნორმალურია, აღმოჩნდნენ უფრო მაღალი თვითშეფასებით და თავს უფრო ბედნიერად მიიჩნევდნენ.

### „ბინძური“ პროფესიები

**ყველაზე ჭუჭყიანი სამუშაო მაგიდები აღმოაჩნდათ ადვოკატებსა და ბუხჰალტერებს. ეს აჩვენა გამოკვლევამ, რომელიც დიდ ბრიტანეთში მოეწყო.**

**სწორედ ამ პროფესიების წარმომადგენელთა კლავიატურები და მაგიდები არის მილიონობით პათოგენების თავშესაფარი, რომლებსაც შეუძლიათ სწრაფად გავრცელდნენ ოფისის წარმომადგენელთა შორის და გამოიწვიონ ინფექციების აფეთქება.**

ანალიტიკოსებმა გამოიკვლიეს ასობით ოფისი, სახიფათო ბაქტერიები აღმოჩნდა კლავიატურების, ტელეფონებისა და მაგიდების თითქმის ორ მესამედზე. ზოგიერთი საგნის ქვეშ ნამდვილი ობი წარმოიქმნა. მუშაკების ორი მესამედი სადილობს სამუშაო მაგიდაზე და ამის შემდეგ მაგიდებს არ ასუფთავებს.

მედიკოსების სიტყვებით, აუცილებელია რეგულარულად ასუფთავებდნენ მაგიდებს და კლავიატურას. გრიპისა და გაცივების სეზონის დროს ეს უნდა კეთდებოდეს რაც შეიძლება ხშირად.

ЗДОРОВЬЕ

ხსოვნა

## ალიკო ნანუაშვილი



რა ულმობელია ცხოვრება, უცებ გაირბინა ორმოცმა დღემ, ძალიან ახალგაზრდა წახვედი ამ ქვეყნიდან. დიდი გზა განვლე, რათა გამხდარიყავი დიდი მკურნალი. უამრავი სიცოცხლის გადამრჩენს, შენ ვერ დაგეხმარეთ ვერაფრით; ერთი შეხედვით უბრალო, ჩვეულებრივი კახელი კაცი ძალიან მოკლე დროში გახდი თითით საჩვენებელი ექიმი, რომელსაც დიდი შვება და იმედი მიქონდა ავადმყოფებთან.

გულდასაწყვეტია, რომ ბევრი განუხორციელებელი აზრი დაგრჩა, გულდასაწყვეტია, რომ სამი შვილი დაგრჩა გზაზე დასაყენებელი; მაგრამ ყველაზე გულსატკენი ისაა, რომ შენ ვერ მოესწარი შენი ნიჭის სიკეთის უკუგებას.

ამ ბოლო დროს თუ სადმე რთულ ავადმყოფობაზე ლაპარაკობდნენ, ხშირად იკითხავდნენ, ალიკომ ნახა? ალიკომ რა თქვა? ეს უკვე შენი დიდი აღიარება იყო.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

შენი მეგობრების სახელით
**მიხეილ ქავთარია, ბესიკ ვეშაპიძე**

საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის რექტორატი თანაგრძნობას უცხადებს საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოს ევგენი ბარათაშვილს დედის

**თინათინ სარალიძე-ბარათაშვილის**

გარდაცვალების გამო.

სულიერება

# 28 ნოემბერი — ქრისტეშობის მარხვის დასაწყისი



**27 ნოემბერს, სწორედ შობის მარხვის დაწყების წინა დღეს, იხსენიებს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია მოციქულ ფილიპეს.**

...მოციქული ფილიპე დიდად განსწავლული იყო წმინდა წერილში, სწორად ესმოდა ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა და წინასწარმეტყველებათა არსი და მესიის მოლოდინით ცხოვრობდა. ის პირველი მოწოდებისთანავე გაჰყვა მაცხოვარს.

იესოს ამაღლების შემდეგ ის გალილეაში ქადაგებდა ღვთის სიტყვას. მის სწავლებას სასწაულები ახლდა თან...

ქრისტეშობის მარხვის შესახებ ცნობები IV საუკუნიდან გვხვდება. საინტერესო ცნობებია დაცული X საუკუნის კრების საეკლესიო ოქმებში.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II ბრძანებს: „...უფალო, ნამდვილად უნდა მივიღოთ, უფლის რწმენა თავისუფალი, ჭეშმარიტად საოცარი აქტია, მსგავსი ხელახალი დაბადებისა“.

**გიული ლიპარტია**

დედაქალაქი

# იაგუარები, ავაზები და სხვანი

**თბილისის ზოოპარკთან დაკავშირებით, მისი საუკუნეზე მეტი ხნის არსებობის მანძილზე, უამრავი საინტერესო ამბავი დაგროვდა, ზოგი სახალისო, ზოგი არც მაინცდამაინც სასიხარულო, ზოგიც, სულაც, სევდიანი...**

ერთი ასეთი ისტორია გასული საუკუნის უმძიმეს პერიოდს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პირველ წლებს, 90-იანების დასაწყისს უკავშირდება. იმ ხანებში მთელს ქვეყანაში, მათ შორის, ცხადია, თბილისშიც, უმძიმესი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა მარტო უტრანსპორტობას, უშუქობას და უსაფრთხოების კი არა, უსაჭმელობასაც უკავშირდებოდა. ჰოდა, აბა რა გასაკვირია, რომ ზოოპარკის მხეცებისთვის საკვები არ იყო?! საქმე იქამდე მივიდა, რომ ბევრი ცხოველი შიმშილისგან დაიხოცა, ზოგიც დაკლეს და მტაცებლები რაღაც დროით მაინც გამოკვებეს, მაგრამ ეს საქმეს არ შველოდა, ამიტომაც მთელი სიმძაფრით ცხოველთა სხვა ქვეყნების ქალაქების ზოოპარკებისთვის გადაცემის საკითხი დადგა, სადაც ისინი ნორმალური კვებით იქნებოდნენ უზრუნველყოფილნი. მაშინ იყო სწორედ, რომ ხალხმა გულისყური გამოიჩინა, ცხოველთა პრობლემა გაითავისა და მოქალაქეებმა სახლიდან ცხოველებისთვის საკვების მოტანა დაიწყეს, რის შედეგად თბილისის ზოოპარკის ბინადარნი გადარჩნენ და დღეს უკვე მათი შთამომავლები ცხოვრობენ უსაფრთხო გარემოში, არც საჭმელი აკლიათ, არც მოვლა-პატრონობა.

ნამდვილად ამ კარგი პირობების შედეგია, რომ ყოველ წელს თბილისის ზოოპარკში სხვადასხვა სახეობის ცხოველთა ახალ-ახალი თაობები იბადებიან, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც ტყვეობაში იშვიათად მრავლდებიან. ბოლო წლებში დედაქალაქის ზოოპარკში დაიბადა სპილო, ლამა, პონი, ზებრა, სხვა ცხოველები. ახლახან ორი წლის წინ სამხრეთ ამერიკიდან ჩამოყვანილი იაგუართა წყვილს სამი კნუტი, ორი შავი და ერთი მოყავისფრო-ჭრელი კნუტი შეეძინა, რაც ზოოპარკებში ძალიან დიდი იშვიათობაა და ეს, როგორც ჩანს, მათ ხასიათზე აისახება: მიუხედავად პატარა ასაკისა, პატარა იაგუარები ძალიან ავები არიან, ამდენად მათ ახლოსაც ვერავინ ეკარება.





ზოოპარკის დირექტორის მოადგილის დავით თაქთაქიშვილის თქმით, ახლახან იქ კიდევ ერთი სიახლე გაჩნდა: აფრიკულმა ავაზამ სამი კნუტი, სამივე ხვადი დაყარა. იაგუარების მსგავსად, ავაზებიც ტყვეობაში ძალიან იშვიათად მრავლდებიან, ამდენად პატარები ზოოპარკის თანამშრომლების მოუდუნებელი ყურადღების ცენტრში იმყოფებიან. ნოემბრის დამდეგს დაბადებულ კნუტებს ერთგვარი პრობლემა შეექმნათ — სამი კვირის შემდეგ დედამ მათი კვება შეწყვიტა და ახლოს აღარ იკარებდა. ამიტომ ზოოპარკის სპეციალისტები იძულებულნი გახდნენ პატარა ავაზები ხელოვნურ კვებაზე გადაეყვანათ, რისთვისაც ამერიკის შეერთებული შტატებიდან საგანგებო რძის ფხვნილი გამოუწერეს, რომლითაც მათ კვებავენ. ბატონი დავით თაქთაქიშვილის თქმით, პატარები თავს კარგად გრძნობენ და, იმედია, რომ ეს მცირედი „გაჭირვება“ მათ მდგომარეობაზე ნეგატიურ ზეგავლენას არ მოახდენს და ჯანმრთელები გაიზრდებიან.

**ირმა ირემაშვილი**

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● ფრანგი რევოლუციონერი ჟან პოლ მარატი კანის დაავადების გამო ყოველდღე რამდენიმე საათის განმავლობაში სამკურნალო ბალახების ნაყენის აბაზანებს იღებდა. შარლოტა კორდემ სწორედ ამ დროს მოკლა იგი.

● კილიკიაში ლაშქრობისას ალექსანდრე მაკედონელი ავად გახდა. მას ერთგული ექიმი ფილიპე აქარნელი მკურნალობდა. ერთ დღეს ალექსანდრემ პარმენიონის წერილი მიიღო: შენი ექიმი დარიოსის მოსყიდულია, წამლით სავსე ფიალაში შხამის გარევას და მოკვლას გიპირებსო. ალექსანდრემ წერილი შეინახა. დანიშნულ დროზე ფილიპე წამლით სავსე ფიალით ხელში ავადმყოფთან შევიდა. ალექსანდრემ პარმენიონის წერილი მკურნალს გადასცა, თვითონ კი წამლით სავსე ფიალა ჩამოართვა და სულმოუთქმელად შესვა. წამალი უვნებელი აღმოჩნდა და ალექსანდრე მაკედონელი გამოჯანმრთელდა.

● ჰავანაში, კუბის რევოლუციის მუზეუმში დაცულ სპირტიან ქილაში ინახება ჩე გევარას მოჭრილი ხელების მტევნები.

● გახმაურებული წიგნი, რომელიც ჯონ ლენონის მკვლელ დევით ჩეპმენს აღმოუჩინეს ჯიბეში, იყო ჯერომ სელინჯერთის „თამაში ჭვავის ყანაში“.

● იოზეფ გებელსის მშობლები ღრმადმორწმუნე კათოლიკები იყვნენ და შვილის სასულიერო კარიერაზე ოცნებობდნენ, მაგრამ იოზეფმა რელიგიას მეცნიერება ამჯობინა. 1917-1921 წლებში გებელსი რვა უნივერსიტეტში ესწრებოდა ლექციებს, 1921 წელს კი ჰაიდელბერგში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

● ვიქტორ ჰიუგოს ნაწარმოების პერსონაჟი კვაზიმოდო პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის ყველაზე დიდი ზარის რეკვამ დააყრუა.

● აშშ პრეზიდენტ ბილ კლინტონის ირგვლივ ატეხილმა სკანდალებმა მისი მატერიალური მდგომარეობა ძლიერ შეარყია. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ კლინტონის მომხრეებმა მისთვის ფულის შეგროვებაც კი დაიწყეს, რისთვისაც ისინი წერილებს უგზავნიდნენ მოსახლეობას, რაიმე თანხა გადაერიცხათ მის ფონდში. ერთ-ერთი წერილი გაგულისებული კალიფორნიელი მოსახლისგან მოვიდა: „თქვენ, ალბათ, ჭკუიდან შეიშალეთ, ასეთი თხოვნით რომ მომმართავთ!“ — ამ წერილის ავტორი მონიკა ლევინსკის მამა იყო.

მოგვაწოდა
**ტიტე კოპალეიშვილმა**

## განცხადება

ვიმუშავებ ძიძად სკოლის ასაკის ბავშვთან, შევასწავლი ინგლისურს და სხვა საგნებს.
ტელ: 239-30-05, 593 660-226. მარინა

მოვუვლი მოხუცებულს, შევასრულებ ექთნის მოვალეობას და საოჯახო საქმეს.
ტელ: 239-30-05, 593 660-226. მარინა

კადრი



ანეკდოტები

— სულ იმ კულინარიულ პროგრამებს მიშტერებიხარ, მაგრამ სადილი მუდამ უვარგისი გამოგდის! — უყვირის ქმარი ცოლს.

— შენ რომ სულ პორნოფილმებს უყურებ, ჩემთვის რა ხეირია?

* * *

ცოლ-ქმარი საღამოხანს ჩხუბობს:

— ამ ბოლო დროს, სამსახურიდან სახლში სულ ნასვამი რად ბრუნდები? — ცხარობს ქმარი.

— მე რომ მსაყვედურობ, თავადაც ყოველდღე მთვრალი არა ხარ?

— მე კაცებთან ვსვამ!

— აბა, შენი აზრით, მე ვინა მყავს თანამეინახეებად?!



— თუ შეიძლება, მითხარით პასპორტის სერია და ნომერი, — ეუბნება ბანკის ოპერატორი კლიენტს.

— ჩემი პასპორტის?

— თუ შეძლებთ, ჩემი პასპორტისა მითხარით!

* * *

საოცარი ადამიანები არიან მამაკაცები — როცა ქალთან საწოლში ჩაწოლაა საჭირო, განურჩევლად და უშიშრად აკეთებენ ამას, მაგრამ საკმარისია, მის კომპიუტერში ფლეშკის შედება მოისურვო, რომ მაშინვე კითხულობენ, — ვირუსიანი ხომ არ არისო?

* * *

გამოვიდა გახდომის ხელშემწყობი ახალი მაცივარი. ზუსტად 18 საათზე მისი კარი შიგნიდან იკეტება და მხოლოდ დილის 7 საათზე იღება.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24